
75
სერგი (გიორგი) საჯაია

75

სერგი (გიორგი) საჯაია

ზენაარი
თბილისი 2021 (2022)

უაკ (UDC) 328 (479.224)
ს-372

რედაქტორი **ზურაბ ცუცქირიძე**

გამომცემელ-რედაქტორი **ზურაბ ქობალია**

© სერგი (გიორგი) საჯაია
© გამომცემლობა „ზენაარი“, თბილისი, ზანდუკელის ქ.1,
ტელ.: (995) 599 343 727; (032) 2 98 48 07;
ელ.ფოსტა: zurkob@gmail.com; zenaari@gmail.com
ვებ.გვერდი: zenaari.ge

ISBN 978-9941-9812-1-0



ის შეუდრეკლად დგას დაკბილული ციხის ქონგურზე

(სერგი (გიორგი) საჯაიას 75 წლისთავთან დაკავშირებით)

ზურაბ ცუცქირიძე
პედაგოგიკის დოქტორი, საქართველოს
განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი

სერგი საჯაიას ვინც იცნობს, უსათუოდ დაინახავდა მის მსგავსებას ლეგენდებიდან გადმოსულ მეციხოვნესთან, რომელიც შუბით ხელში ამაყად დგას ციხის ქონგურზე. საკუთარი საგვარეულო ციხის კი არა, სამშობლოს ბასტიონის დედა ციხის დაკბილულ ქონგურზე და ბეჯითად გასცქერის იმ გზაშარასა თუ საცალფეხო ბილიკებს, საიდანაც არაერთხელ შემოჭრილან, თუ შემოპარულან ვერაგი მტრები. იცის ამ მეციხოვნემ, რომ საქართველოს ღირსეული მტრებიც ჰყავდა და უფრო მეტი კი თახსირი, სულმდაბალი, შავგულა და მოღალატე ავსულები, რომლებიც სწორედ უჩინარი ბილიკებით მოძვრებოდნენ, ხან მოყვრის, ხანაც კი გლახაკისა და მათხოვრის სახით მოწყალების სათხოვრად. სწორედ ამ ბილიკებს აკვირდება ამაყი და წინგახედული მეციხოვნე, აკვირდება და ყველაფერს ხედავს.

ასეთია სამშობლოს ერთგული მეციხოვნის სერგი საჯაიას ხვედრი და ბედისწერა.

ეს წიგნი გასულ წელს უნდა გამოსულიყო მის 75 წლისთავთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, სხვადასხვა დამაბრკოლებელ მიზეზთა გამო, ვერ მოხერხდა.

ჯერ კიდევ ჭაბუკობაში აირჩია ბატონმა სერგიმ სამშობლოს მსახურების ეკლიანი გზა და იტვირთა ის ტვირთი, რაც ყველა ჭეშმარიტ მამულიშვილს აწევს მხრებზე. ამ ტვირთს ეწევა იგი დღესაც, 75 წლის სამანს გადაბიჯებული კაცი, სიტყვითა და კალმით ცდილობს სარეველამოდებული ეროვნული ყანისა თუ ბოსტნის გამარგვლას.

ეროვნული მოძრაობის სათავეებთან იდგა იგი, სრულიად ახალგაზრდა, ჯერ კიდევ სტუდენტი, შემდეგ პედაგოგი, სკოლის გამორჩეული ხელმძღვანელი თავის მშობლიურ აფხაზეთში და სადაც კი უმუშავია ხელმძღვანელ თა-

ნამდებობებზე თუ რიგით მუშაკად, განათლების დარგში თუ პოლიტიკურ ასპარეზზე, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში იმ ფესვებსა და ძირებს იცავდა, ყველა ქართული ტომის იმ ერთიან ძარღვს უფრთხილდებოდა, რაც ერთიანი საქართველოს ლიბო და საძირკველი იყო მუდამ. ძმობა, ერთიანობა, შემწყნარებლობა, ურთიერთპატივისცემა ყოველთვის გახლდათ ქართული სახელმწიფოებრიობის პოლიტიკური იდეოლოგიისა და მრწამსის საფუძველი და ამას ქადაგებდა და დღესაც ქადაგებს სერგი საჯაია, რადგან ეს არის მისი რწმენაც და არსებობის შინაარსიც.

საქართველოში ჩატარებული ერთადერთი გაუყალბებელი არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში პირველად და ჯერ-ჯერობით უკანასკნელად მოვიდა ეროვნული ხელისუფლება „მრგვალი მაგიდა – დამოუკიდებელი საქართველოს“ სახით. ეროვნული მოძრაობის აქტივისტი სერგი საჯაიას მაშინ, სულნათელ არკადი მარკოზიასთან ერთად, სულგაყიდულმა და, როგორც შემდგომ გაირკვა, ერის მოღალატე ძალებმა გზა ჩაუხერგეს. მიუხედავად ავმოსურნეთა ბეზღობა-ჩასაფრებებისა თუ შეთქმულებებისა მის წინააღმდეგ, ბატონი სერგი მტკიცედ და რწმენით დადგა ახალი ხელისუფლების, კერძოდ, მაშინდელი უალტერნატივო ლიდერის პოლიტიკური მიზნის გვერდით და აქტიურად იღვაწა იქ, სადაც მას ადგილი მიუჩინა ქვეყნის მეთაურმა და საკუთარმა მრწამსმა. თუმცა ძირგამომთხრელთა ცილისწამებები საზოგადოებაში საძაგლად სისინებდნენ, მან მაინც იღვაწა შედეგიანად, სძლია გულისტკივილს, ყოველგვარ დაუმსახურებელ წყენას და მისდა სასახელოდ, - არასოდეს დაპირისპირებია „კოლხირ კოშკს“, პირიქით, მაგრამ, სამწუხაროდ, „**ქვეყანაში იმდენი მოღალატე იყო, მაკდონელიც ვერ გაამარჯვებინებდა მას**“ (კ. გამსახურდია). ასეც მოხდა! რეპრესიები, რაც ,,გამარჯვებულმა“ პუტჩისტებმა წამოიწყეს მასშტაბური და უაზრო იყო, ბატონი სერგი უსამართლო გვემასა და შეურაცხყოფას ვერ გადაურჩა, მაგრამ არ გატყდა, ,,**ბილწთ არ შეეკვრა ზავითა**“ (ვაჟა-ფშაველა). ბატონ სერგის ფარხმალი არ დაუყრია, არც სახელმწიფო სამსახურში, სადაც მისთვის უმნიშვნელო პოსტი გამოიმეტეს და უფრო მეტად კი პუბლიცისტიკის სარბიელზე, აქ იგი ასევე უკომპრომისოდ იბრძოდა და იბრძვის, როგორც იბრძოდა ეროვნული ძა-

ლების ზეობისას თუ მანამდე. სწორედ ამის გამოა იგი დღემდე სამიზნე ქვეყნის ორგული ძალებისთვის

სერგი საჯაიას პუბლიცისტიკა სრულიად ორიგინალურია, როგორც პრობლემატიკის, ისე ეროვნული გზა-სავალისა და ორიენტაციის თვალსაზრისით.

მისი პუბლიცისტური წერილებისა და სტატიების წაკითხვა მარტივი არ არის, ჯერ ერთი იმიტომ, რომ აქ პუბლიცისტური განსჯა სრულ სიმბიოზშია მეცნიერულ წიაღსვლასთან, ისტორიულ ეთნიკურ-ეროვნულ ტრადიციასთან, რაც ხშირ შემთხვევაში მის ერთობ ორიგინალურ სტილში, წერის მანერასა და ლექსიკურ არსენალშიც პოულობს გამოხატულებას. ამიტომ, მისი ნაშრომების მკითხველს შემეცნებით ინტერესთან ერთად, გარკვეული დონის მომზადება და გამოცდილებაც სჭირდება, მაგრამ ვინც მოახერხებს მის შემოქმედებით სამყაროში შესვლას, იგი იქიდან აღარ გამოვა, ვიდრე ბოლომდე არ გაიზიარებს ავტორის დარდსა და ნაღველს, სიხარულსა და მომავლის რწმენას.

ამ კრებულს ვინც გაეცნობა, დაინახავს, რომ, საბედნიეროდ, კანტი-კუნტად, მაგრამ მაინც ყოფილან სერგი საჯაიას თანამოაზრენიც, მისი სამყაროს შემცნობნიც და დამფასებელნიც და ამიტომ, მისი შემოქმედება, საქმე და სათქმელი არ არის **„ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“**, რომ მისი ღვთიური მადლმოსილება გადამდებია.

მე ასე ვფიქრობ და მგონია, რომ ამ თითქოს წარსულიდან გადმოსული მეციხოვნის ფარ-შუბი-კალამი დღესაც და იქნებ, უფრო მეტადაც სჭირდება ჩვენს ბედკრულ ქვეყანას, საიმისოდ, რომ სხვა ფარ-შუბიანებთან ერთად მომავალში მაინც გადააბიჯოს ჩვენმა სამშობლომ ბედკრულობის სამანს.

* * *

მინაწერი: ისიც უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა მიზეზთა გამო, რომელიც დაკავშირებულია, როგორც ოფიციოზის არაგულმოწყალე ბიუროკრატიის განწყობასთან, ასევე საზოგადოების გულგრილობასთან და ზოგჯერ იღბალთანაც, ბატონი სერგის შემოქმედებისა თუ მოღვაწეობის ჯეროვანი შეფასება მომავლის საქმეა, როცა ერი სამართლიანად ანონის საუკუნის ცოდვა-ბრალს, მაგრამ ამ მხრივ არის სასიამოვნო გამონაკლისებიც: 2004 წლის 31 მარტს (ოქმი № 2) პოლიტიკურმა ორგანიზაციამ **„სამართლიანობის აღდგენის კავშირმა „ხმა ერისამ“** იგი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პატრიარქის, დიდი მოაზროვნის ზვიად გამსახურდიას სახელობის პრემიით დააჯილდოვა **„ღვთისა და სამშობლოს ერთგულებისთვის“.**

სათანადო დიპლომში ხაზგასმით აღინიშნა მისი განსაკუთრებული დამსახურება საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში.

თავის მხრივ საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა 2008 წელს წიგნისთვის **„დემოკრატიული“ გადაგვარებით „ცივილური“ გადა-შენებისაკენ“** (2005 წ,) მიანიჭეს დიდი ნიკო ნიკოლაძის პრემია, ხოლო 2009 წლის 25 დეკემბერს იგი დააჯილდოვეს წმინდა ილია მართლის უღალატო თანამოაზრის – გიორგი შარვაშიძის სახელმწიფო პრემიით 2009 წელს გა-მოქვეყნებული პუბლიცისტური წერილებისათვის საქართველოს ეროვ-ნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის შესახებ.

27. 09. 2022 წ.

რისხვის ზარები ჩვენი სამრეკლოდან

(სერგი საჯაია - 70)

ზურაბ ცუცქირიძე,

ამ წიგნის ყველა მკითხველი ჩემი მეგობარია, იმის მიუხედავად, ავტორის მოსაზრებებს, დასკვნებსა და პათოსს სრულიად იზიარებს თუ არა, ჩემი მეგობარია, რადგან იმავე **„ნესტარით არის ნაჩხვლეტი“,** რითაც ნებისმიერი ჭეშმარიტი ქართველი. ამიტომ მივმართავ მას ასე:

ძვირფასო მკითხველო!

იცოდე, რომ ამ კრებულის ავტორი სამშობლოს ბედზე ფიქრით გულგასენილი კაცია, რომელმაც ჩვენი ისტორიის უახლესი ათწლეულების ყველა ქარტეხილი გამოიარა და ეროვნული ავბედობის ჯოჯოხეთში გამოტარებული ფიქრი და აზრი მოიტანა შენამდე,

სერგი საჯაია ჩვენი სამშობლოს მკლავმოუღლელი და მო-უსყიდელი სარანგია. ვერც თანამდებობითა და ვერც ამ თანა-მდებობის თანმდევი პრივილეგიებით ვერ მოისყიდეს. ვერ გატეხეს იგი. ერთი ნაბიჯიც ვერ წაადგმევინეს იქით, საი-დანაც სამშობლოს სიბეჩავის ხარჯზე პირადი კეთილდღე-ობა იწყება. ვერ გატეხეს, რადგან მისთვის **„სამშობლო, რო-გორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა“.** ამიტომ არის ასეთი

უკომპრომისო ყველასა და ყველაფრის მიმართ, ვინც და რაც ნებსით თუ უნებლიედ ერისა და სამშობლოს ურიცხვი მტრის ბოროტების წისქვილზე ასხამს წყალს.

მტერი კი ბოროტია და დაუნდობელი. მან კარგად იცის: **ერი რომ დაიმონო და გადააჯიშო, ჯერ უნდა დაშალო-დანაგრევრო იგი, მთლიანი სამშობლოსა და ერთიანი ისტორიის ხსოვნა ჩაუკლა მას.** საამისოდ თვით ამ ერის წიაღში უნდა გამოზარდო სეპარატიზმის ხელშემწყობი და წამქეზებელი მანქურთები. სწორედ ამგვარი მანქურთებით არის სავსე ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციები, მკბენარივით რომ მოსდებიან საქართველოს ეროვნულ სხეულს. ამ წიგნის ავტორმა კარგად იცის, სად და როგორ ინკუბატორში გამოჰყავთ ავი სენის გამავრცელებელი მკბენარი, რომელსაც დუსტი და ქლორი კი ვერ მოსპობს, არამედ ჩვენი გამოფხიზლება ამოძირკვავს მხოლოდ. ამიტომ არისხებს განგაშის ზარებს ჩვენი სამრეკლოდან, რომელსაც რომ არა სერგი საჯაიას მსგავსი თითო-ოროლა მამულიშვილი, ეშმაკები დაეუფლებოდნენ მთლიანად.

არა და, დაუფლებულნი არიან და ეგ არის!

შენ ხედავ, მკითხველო, თუ როგორ სახოვნად გვიჩვენებს ავტორი ეშმაკის მოციქულთა მარულას იმ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც, სადაც სამართალია, ეროვნულ ღირებულებებს უნდა ედგნენ დარაჯად და ზნეობის ბასტიონებს წარმოადგენდნენ. პირიქით კი არის! **უზნეობის, უკულტურობის, სულიერი და გონებრივი სიმახინჯის პროპაგანდის ღვარცოფმა ლამის მთლიანად წალეკოს ქართული ეროვნული თვითშეგნება და ქრისტიანული ცნობიერება, საუკუნეთა წიაღში რომ უდგას ლიბო და ბალავარი.** ეს ღვარცოფი სწორედ იმ სამრეკლოებიდან მოედინება, საიდანაც ზნეობისკენ უნდა უხმობდნენ ადამიანებს.

ამ ცოდვის ღვარცოფის წინააღმდეგ არისხებს ზარებს ეს წიგნი და მისი ავტორი კი ერთგული სარანგის შეუპოვრობით ებრძვის ურჩხულს, იმ იმედით, რომ **„ცუდად... არ**

ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება“. დიდი გაბედულება სჭირდება ამას და არ აკლია იგი ამ წიგნის ავტორს.

სერგი საჯაიას ამ წიგნში საქართველოს თანამედროვე ისტორიის ერთობ ტრაგიკულ-დრამატული ეპიზოდებია აღწერილი და გაანალიზებული. ძნელია თანამედროვეობაზე წერა ბევრი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, ისტორიული მოვლენა და მისდამი თანამედროვეთა დამოკიდებულება რომ შეაფასო, დროში დისტანცირებაა აუცილებელი. მეორე და, იქნებ უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ მოვლენათა ავად თუ კარგად მონაწილენი, შენი თანამედროვეები არიან და პირში მთქმელობის გაბედულებაა აუცილებელი.

სერგი საჯაის გაბედულებაზე უკვე ვთქვი! რაც შეეხება დროში დისტანცირებას, იგი მას არ სჭირდება, რადგან დღევანდელ მოვლენებს მხოლოდ აწმყოს გადასახედიდან კი არ უცქერის და აფასებს, არამედ ისტორიული წარსულის პრიზმაში ხედავს მას და ამიტომაც მიუმცდარი მგონია მისი შეფასებები და დასკვნები.

ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როდესაც ხალხი თავის წარსულ ისტორიას ივიწყებს, - დიდი ილია ჭავჭავაძე გვაფრთხილებდა და დღესაც გვაფრთხილებს. ჩვენ კი ეს გაფრთხილება, ისევე, როგორც ერის მამების ბევრი სხვა დარიგებაც, ყურად არ ვიღეთ. შეგრძავს პირდაპირ, საკუთარი ისტორიის დავიწყების ის საშინელი შედეგები, რაც, თითქოს, ჩვენც ვიცით, ამ წიგნში კი დასაბუთებულად არის ნაჩვენები. ვიცით მაგრამ, მერე რა? ერთმანეთსაც კი არ ვემოწმებით. სწორედ ამიტომაა ამ წიგნის ავტორის რისხვა სრულიად სამართლიანი და მე ასე მგონია, ყველამ უნდა გავინაწილოთ იგი. პირველ ყოვლისა მე, მიუხედავად იმისა, რომ აგერ ოთხი ათეული წელია პრესაშიც და ისეც, საჯაროდ გავყვირი: ქართველი ბავშვების დიდ ნაწილს ქართულს არ ვასწავლით და ზრდასრულობაში ასე ჰგონიათ მეგრული და სვანური ქართული ენები არ არის. ამერიკის სულს ჩასწვდითო, - ჩასძახიან ქართველ ახალგაზრდებს უცხოეთში დაგეშილი „ჩვენიანები“, ქართულ სულს კი უუცხოვებენ-მეთქი!

ერთიკაციც კი არ გამომხმაურებია!

სერგი საჯაია ამ წიგნშიც და სხვაგანაც კარგად უჩვენებს ყველას, რა მოსდევს ამგვარ სულიერ უვიცობასა და სიღატაკეს, რაც ზნეობრივ გათახსირებაში გადადის: ჩრდილოდასავლეთ საქართველო ჩვენი სამშობლოს სხეულის ნაწილად არ მიაჩნიათ ჩვენს „პოლიტიკოსებს“ და არაპოლიტიკოსებსაც. მასზე ისე ლაპარაკობენ, როგორც მეზობლის შემოღობილ ეზოზე, რომელსაც ჭიშკარი არ დააყოლეს ჩვენს მხარეს. ასეთივე დამოკიდებულებაა შიდა ქართლისა და სხვა ჩამოშორებულ თუ ჩამოსაშორებლად გამზადებულ მხარეების მიმართაც. **„თუ ჩვენ უარს ვიტყვით ჩვენსავე წარსულზე, სხვა დაეპატრონება მას“,** - წერს ამ წიგნის ავტორი. და ეს ჭეშმარიტად ასეა! ამის მაგალითები ჩვენ თვალწინ ძევს და უარის მთქმელებიც ჩვენს წინ არიან (სამწუხაროდ, ცოცხლებიც!).

ვკითხულობდი ამ წიგნს და ის განცდა მეუფლებოდა, კვირიას რომ აფორიაქებდა ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონში“: **„მთელი ქვეყანა ქცეულა ჩიქილამოხდილ ქალადა. არა ჩანს ხელის შამქცევი, მტრის ამომყრელი ჯავრისა...“** მაგრამ მაინც... იმედი არ ჩავიკლათ, ამ წიგმის მკითხველო, რომ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას არ გასწირავს და მოუვლენს გადამრჩენელს, როგორც არაერთხელ მოუვლინა წარსულში.

ახლა ორიოდ სიტყვას ჩემს რედაქტორობაზეც მოგახსენებთ.

ეს წიგნი რომ წავიკითხე, დავრწმუნდი, რომ მას რედაქტორი არ სჭირდება. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ავტორი ისეთ ფაქტებსა და მოვლენებზე წერს, რომელთა მომსწრე და აქტიური მონაწილე თვითონ არის და რაში უნდა შევიტანო ეჭვი ან კორექტივი? მეორე და მთავარი კი ის არის, რომ სერგი საჯაია, როგორც მწერალი-პუბლიცისტი საკუთარი ორიგინალური აზროვნებისა და მისი შესაბამისი სტილით გამოირჩევა და, რა, რედაქტორმა თავისი გემოვნება უნდა უკარნახოს? რომც უკარნახოს კიდეც, სერგი საჯაია ის კაცი არის,

სხვისი კარნახით გააკეთოს თავისი მრწამსისათვის შეუსაბამო რამე.

ბატონ სერგის საკუთარი ხმა, ქართული ენისადმი თავისი დამოკიდებულება აქვს და იგი უნდა მიიღონ (ან არ მიიღო!) ისეთი, როგორიც არის. მე პირადად, ძალიან მომწონს იგი. მისი სტილი იმ ძელგ ღვინოს მაგონებს, ორი სამი ჭიქის შემდეგ რომ ხდება ერთობ სასიამოვნო სასმელი. იგი ღრმად იცნობს ქართული სიტყვათწარმოების უკიდეგანო შესაძლებლობებს, რაც ასე უხვად არის ნაჩვენები ამ წიგნში.

სერგი საჯაიას სამწერლობო ენა ფრიად გამომსახველობითია და საინტერესო. ერთი ეგ არის, მკითხველი ერთგვარად შემზადებული უნდა იყოს საამისოდ: ქართული ენის გულისგულში წვდომა უნდა შეეძლოს.

ისე, რომ ამ წიგნს რედაქტორი არ სჭირდება და თუ მაინც რედაქტორად მომიხსენიებს, ალბათ, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს წინასიტყვა ლეგიტიმური იყოს.

ჩემი მხრივ, მადლობელი ვარ ამ წიგნის ავტორისა იმ უზადო მამულიშვილობისათვის, რომელიც არა მარტო სამაგალითოა, გადამდებიც არის.

დაიბეჭდა წიგნში „გულსმიწერაქვებული ახავაი და წინგაუხედავად ყურდახშობილი საზოგადოება“, რაგადობანი, 1 ნაწილი, თბილისი, 2016 წ.

ცრემლში დანახული მამული

(ფიქრები სერგი საჯაიას პუბლიცისტური ხმით ნატირალზე)

სერგი საჯაიას ქართველთა წინაშე წარდგენა არ სჭირდება: მას იცნობენ როგორც სამშობლოსთვის თავდადებულ უზადო პატრიოტს, ეროვნული მოძრაობის მოღვაწესა და სამშობლოს საჭიროებათა შესაბამისად დამაშვრალ კაცს, რომელმაც თავისთავზე იწვნია ის დაუნდობელი რეპრესიები, რაც ქართველთა მტრებმა დაატეხეს თავს საქართველოს...

რეპრესიებს უკვალოდ არ ჩაუვლია. ბევრი პატრიოტის სიცოცხლე შეიწირა „ბოთლიდან“ გამოშვებულმა ბოროტმა ჯინმა, ბევრი ფიზიკურად და სულიერად დაასახიჩრა... არც სერგი საჯაია იყო გამონაკლისი...

იმ ეკლიან გზაზე, რაც პატრიოტებს განუმზადა განგებამ, ბატონ სერგის გვერდით იყო და მასთან ერთად ვიდოდა მისი მეუღლე და თანამებრძოლი ქალბატონი ნანა. მათი ურთიერთობა საოცარი სიმბიოზმი იყო ერთმანეთისა და სამშობლოს სიყვარულისა და პასუხისმგებლობისა.

ძალიან ძნელია მეგობრისა და თანამებრძოლის დაკარგვა, მით უფრო თუ იგი ამავე დროს მეუღლეც არის; კიდევ უფრო რთულია, თუ ამავე დროს სამშობლოც დაკარგული გაქვს. აი, სერგი საჯაიას დაემართა ეს! მან საკუთარი ოდაბადე და ყებური დეფაქტოდ დაკარგულ აფხაზეთთან ერთად დაკარგა და თუმცა დეიურედ დაუკარგავია დანარჩენი მისი სამშობლო, მაგრამ გალაკტიონისა არ იყოს, ძნელია **„მიდიოდე და ფიქრობდე, ეს არ არის საქართველო!“**

აი, ეს განცდაა გადმოცემული (მე ასე დავინახე!) მის ახალგამოცემულ პუბლიცისტურ წიგნაკში **„მინონგარაფა ჩემი სულიერი ფორიაქის“,** რასაც მე პუბლიცისტური ხმით ნატირალი ვუწოდე.

სერგი საჯაია ორიგინალური სტილის მწერალია. მე ძალიან მომწონს ეს და იმასაც ვგრძნობ, რომ ყველასთვის მოსაწონი არ იქნება მისი ენა და სტილი, ბევრისთვის - გაუგებარიც. გარკვეული ცოდნა-გამოცდილებაც სჭირდება მის მკითხველს საიმისოდ, რომ დაინახოს ის განცდა, რაც მის ორიგინალურ სტილსა და წერის მანერაშია ბოლომდე საცნაური.

განცდის სიმძავრეა აკუმილირებული სულიერ საუფლოში გადასული მეუღლისადმი მიმართვაში, რომელიც წიგნის ყდაზეა გამოტანილი: **„ჩემო თოლიგე, ასგზის შურიგე და სულის ყებურო, ნ ა ნ ა !..“** და იქვე რუსთველის სტრიქონში: „**აწ დავკარგე: რად არ გიკვირს, რად ცოცხალ ვარ, რად ვარ რეტად? ვა, სოფელო უხანოო, რად ზი სისხლთა ჩემთა ხვრეტად?!“**

მთელი ეს სულისშემძვრელი სევდით გაჟღენთილი წიგნი დღიურის ფორმით არის დაწერილი, სადაც ერთმანეთშია გადაჯაჭვული პიროვნული და საქვეყნო ვარამი, რომელიც ინფორმაციად, ანუ ამბავად კი არ შემოდის მკითხველში, არამედ იმ სევდად, რეალურ-საგნობრივად რომ რჩება მასში.

დღიურები იწყება მეუღლის მძიმე სენით გამოწვეული ტრაგიკული რეალობის გაცნობიერებით: **„სათავზარო სიცხადის პირის-**

პირ“ - ასე შევყავართ ავტორს უკიდეგანო სევდისა და გულისწყვეტის ოკეანეში. **„როგორ ვეიმედებოდი! ვგრძნობდი, მისი დანისლული თვალგახელა თუ როგორ დანდობილად მადგენდა თავი-სი უმწეობის მაშველ რგოლად: მკლავში ჩამებღაუჭა, ჩაიკრა და ხელისგულზე მაკოცა. ახლა კი, ამ წუთში ვიდექი ხეჭკურე, უმწეო, უღონო და უხვალდღეო.“** (გვ. 5).

სერგი საჯაია წარბშეუხრელად იდგა ყველა საფრთხის წინაშე, რომელიც არასოდეს დაჰკლებია საქართველოს, სიკვდილისთვისაც ჩაუხედავს თვალებში, მაგრამ სასოწარკვეთა არ გამოხატვია არც სახეზე, არც სიტყვაში. ახლა კი, სიბერეში ფეხშედგმულ ბერიკაცს, სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე მეუღლეს რომ დასცქერის (23. 12. 2019, **„დრო მხოლოდ ორისათვის“**), ბზარი გასჩენია ხმაში: **„ვეგდე გაუნძრევლად, ყურს ვუგდებდი მის მოფორიაქე სუნთქვას და ვგრძნობდი კი არა, მესმოდა თუ როგორ მომბღაოდა გულსმოგლეჯილი ოდაბადე ჩემი: *დიდოუ ნანა, ჭყოლირ გურსუ ვამიჭუა!“***

ცოლიც და ქმარიც ერთმანეთის სიყვარულს სამშობლოს სიყვარულთან აიგივებდნენ, რაც კარგად ჩანს ამ დღიურებში, განსაკუთრებით იმ ეპიზოდებში, როდესაც ქმარი მძინარე ან უგონოდ მყოფ მეუღლეს ესაუბრება და სჯერა, ალბათ, რომ თვალდახუჭულ თანამეცხედრეს ესმის ყველაფერი, რასაც ფხიზელი და ფეხზემდგომი ეუბნება: **„შენ იცი, მე ვტიროდი და ვიბრძოდი სამშობლოს გამო. ის მე (მეტი საქმე არა აქვს) არ დამიტირებს, სამაგიეროდ შენ დაიცრემლები ჩემს საფლავზე, ნანა!“** (გვ. 7).

საოცარია, როგორ არის ამ სიტყვებში ერთდროულად გადმოცემული გულგატეხილობა, სამდურავი და ოპტიმიზმი. გულგატეხილობა და სამდურავი იმის გამო, რომ სამშობლო არ აფასებს და არც დაიტირებს მისთვის თავდადებულ მოღვაწეს, ოპტიმიზმი კი იმის რწმენით, რომ სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე მეუღლე მოახერხებს და დაიცრემლება მის საფლავთან.

საქართველოში, ჩემო ძმაო სერგი, გმირებსა და ბრძენკაცებს აღიარებისთვის ყოველთვის აკლიათ ერთი რამე - სიკვდილი. ეს მუდამ ასე იყო და ასეა ახლაც. შენ ჯვარი გწერია, დიდხანს იცოცხლე, გული კი არ გაიტეხო არასოდეს! ის, რაც შენს მეუღლეს უთხარი 2014 წლის 14 იანვარს, შენზეც ასევე ითქმის: **„ამ ცისქვეშეთში ეროვნული ბედნიერება იყავი შენს პირად სამყაროში საკუთარი ბედნიერების გარეშე“** (გვ. 7).

ამ მომცრო წიგნში, პირადი ტრაგედიის ფონზე და გულიდან წამოსულ ცრემლში საქართველოს ტრაგიკული უახლესი ისტორიაა

დანახული. ბოლო ოთხი ავბედითი ათწლეულის განმავლობაში ბევრი ცოდვის კალო გაილეწა საქართველოში. ღალატი, სიცრუე, ორპირობა ცხოვრების წესად იქცა ჩვენში. ფარისევლობამ შეცვალა გულწრფელობა, ლაჩრობამ - სიმამაცე, სიყვარული - ბოღმამ და შურმა, დაუნდობლობამ - გულმოწყალება. სრულ ჭეშმარიტებას ღაღადებს წიგნის ავტორის კალამი: **„რა გაახარებს ამხელა ცოდვაში ჩაფლულ ქვეყანას? ვავა, ჩქინ ცოდა!“**

რაც უფრო შორს მივდივარ დღიურში, მით უფრო ნათლად ჩანს, როგორ არის გადახლართული ერთმანეთთან ბედის დაუნდობ-ლობა და კაცთა უპირობა ჩვენს ცოდვილ ქვეყანაში. გამოსავალიც არ ჩანს და ამ პუბლიცისტური ხმით ნატირალის ავტორს ვერაფრით ვანუგეშებ, მხოლოდ მოკრძალებით ვურჩევ, უფალთან ეძიოს ნუგეში და იმედი, იმის რწმენა, რომ ადამიანის სული უკვდავია, მით უფრო ისეთებისა, როგორიც მისი მეუღლე და თანამებრძოლი მეგობარი იყო.

შენი მეგობარი, დარდით გულგასენილი
ზურაბ ცუცქირიძე,
პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი.
09. 01. 2022

დაიბეჭდა გაზეთში „საქართველო და მსოფლიო“, 2022 წ., 16 მარტი.

„კოლხური კოშკის“ მსოფლმხედველობის „ამთერგღრიალებელი განიშანსვეტება“, ანუ ქვეშევრდომული სულის გაძევება „სრულიად საქართველოს გონითი განფენის სივრციდან“

დენისა სუმბაძე,
ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წევრი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

„აგრე ყოფილა მუდამ, ხომ მსუბუქია ბატის ფრთის კალამი, მაგრამ კალმის მოსმას უფრო მეტი გამბედაობა ესაჭიროება, ვიდრე ხმლის მოქნევას.“
დიდოსტატი კონსტანტინე;
„ვიყავ ბეთანიას, თაყვანი ვეც თამარს.“
კონსტანტინე გამსახურდია
1921 წლის 25 თებერვალი.

ძვირფასო მკითხველო!
ჩემო ძვირფასო ქართველო ხალხო!

ჩემი წინამდებარე წერილი, სათაურით: **„კოლხური კოშკის“ მსოფლმხედველობის „ამთერგღრიალებელი განიშანსვეტება“, ანუ ქვეშევრდომული სულის გაძევება სრულიად საქართველოს გონითი განფენის სივრციდან“,** ჩვენი დღევანდელი გადასახედებიდან გამოწვეული გამოხმაურება გახლავთ ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, უმაღლესი კატეგორიის პედაგოგის, ასევე უნდა ითქვას, - უმაღლესი კატეგორიის სახელმწიფოებრივ პრებლემათა ანალიტიკოსისა და დიდაქტიკოსის, ბატონ **სერგი საჯაიას** ძალზე მნიშვნელოვანი ორი ნაშრომის ირგვლივ. ეს ნაშრომები გახლავთ: **პირველი** - **„დებულება ქრისტე-მხედრულ ვინაობაზე, ანუ ახალსა ამას ერსა საღრმთოსა“**, რომელიც წარმოადგენს გამოხმაურებას პირადად ჩემს წიგნზე: **„გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“**. ასე რომ, პატივცემულო მკი-

თხველო, ჩემი წინამდებარე წერილი გახლავთ გამოხმაურება ბატონ სერგი საჯაიას მსჯელობაზე, ზემოთ აღნიშნული ჩემეული წიგნის ძირითად საკითხზე: ქართველი ერის, როგორც „**ახალი საღრმთო ერის**“ განსაზღვრულობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ჩემი წიგნი: „**გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ**“ გამოიცა 2012 წელს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრის სახელით, რომელიც 2005 წლის საქართველოს განათლების ცნობილი სახელმწიფო ე. წ. რეფორმის, დამანგრეველი გადათარეშების შემდეგ ფუნქციონირებს, როგორც ამავე უნივერსიტეტის საზოგადოებრივი გაერთიანების: „**თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის**“ სტრუქტურული ნაწილი, „**ეროვნული პრობლემების ანალიტიკურ დარბაზთან**“ ერთად. წიგნი გამოსცა გამომცემლობა „უნივერსალმა“. ბატონმა სერგი საჯაიამ იმავე წელს შეაგება საზოგადოებას თავისი გამოხმაურება ამ წიგნზე სათაურით: „**დებულება ქრისტესმხედრულ ვინაობაზე, ანუ „ახალსა ამას ერსა საღრმთოსა“**. ბატონი სერგი საჯაიას მიერ ეს გამოხმაურება ჩართული გახლავთ მისი წერილების კრებულში, რომელიც გამოიცა იმავე 2012 წელს, სათაურით „**შეთქმულთა თაღლითობანი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში**“ (II ნაწილი, გვ. 260-269).

მეორე ნაშრომი, რომელსაც ჩვენ წინამდებარე წერილში ვეხებით, ეს გახლავთ ბატონი სერგი საჯაიას წიგნი: „**განგაში!.. განგაში!.. განგაში!.. საფიხვნო ინგირცმელედან მეამბოხე საფლავთა სახელით**“; იგი გამოქვეყნდა 2021 წელს, თითქმის ათეული წლის შემდეგ, ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული ჩემი წიგნისა „**გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ**“ და ბატონი სერგი საჯაიას მიერ მასზე გამოქვეყნებული გამოხმაურებების შემდეგ.

ბატონი სერგი საჯაია, როგორც დიდი მამულიშვილი თავისი მშობლიური ქვეყნისა, რომელსაც „საქართველო“ ჰქვია, ხოლო მის მშობლიურ კუთხეს აფხაზეთს – „ჩრდილოდასავლეთ საქართველო“, ***ის იშვიათი პიროვნული გამოვლინებაა*** დღევანდელ სახელმწიფოებრივ გარემოცვაში,

რომელსაც არც აღქმა და შემეცნება ღალატობს ქვეყნისათვის კეთილისა და ბოროტის, ღირსების და უღირსობის გარჩევაში და არც გაბედულება – კეთილის შეფასებისა და დაფასებისა, არც გამბედაობა ცუდისა და ბოროტის მხილება-შერისხვისათვის.

თავს ნებას მივცემ, წინამდებარე წერილით ამ მიმართულებით შევჩერდე შემოგებებულ საკითხებზე, თან დავადასტურო ჩემი განცხადება და პირველ რიგში ჩემი აღფრთოვანება გამოვხატო ბატონი სერგის მიერ თანამემამულეთადმი მიმართვით, როგორც თავად წინასწარვე გვაფრთხილებს - მეამბოხე საფლავთა სახელით, **ეს სიწმინდეები, ანუ მეამბოხე საფლავთა წინაპრები სერგი საჯაიას სახით, მდუმარე ქართველობას ამბოხებისაკენ მოუწოდებენ. თუ ამ სცენას გენიალური თეატრალური რეჟისორი ღირსეული ხელოვნებით მოუნახავდა თეატრალურ სცენირებას, ალბათ მაყურებლისგან დაიმსახურებდა აღფრთოვანებულ სამადლობო ტაშს.**

2020 წლის 22 აპრილს, როდესაც პლანეტა დედამიწაზე, ყველა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში მესამე მსოფლიო ომის, ამასთან ვირუსული ომის აგონიაშია, ბატონი სერგი საჯაია მეამბოხე საფლავთა სახელით მიმართავს თავის თანამემამულეთ: **„ქრისტესმიერ ჯიშისმიერნო და სულიერნო, შინერს-ვაშინერსის სახლიკაცურ წესრიგში მოაზროვნე ძვირფასო თანამემამულენო! ვაცნობიერებ რა თავს მოხვეულ სულიერ, პოლიტიკურ და ყოფით ყოველდღიურობას, ამ სათავზარო დღეებში უფლის შეწევნით გონება გამეხსნა და შესაბამისად ვასკვნი, რომ გადაუდებლად და ყოველმიზეზგარეშე თქვენთან ერთად კვლავაც უნდა მივემოწაფოთ ერის სახალხო სიბრძნეს, რათა ახალი რუისურბნისისა და სადიდგორო ძალისხმევით, ისევ და ისევ ჩვენს დედან ვინაობაში, ანუ ღვთისმშობლის წილხვედრილობაში მოვიაზროთ თავი!“** (გვ. 36).

კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვამბობ: მას არც შემეცნება ღალატობს ქვეყნისათვის განხორციელებული კეთილისა და ბოროტის, ღირსეულისა და უღირსის გარჩევაში, - არც გაბედულება კეთილის შეფასებისა და დაფასების, ან ცუდისა და ბოროტის მხილებისა თუ შერისხვის.

თავს ნებას მივცემ, ამ მიმართულებით შერჩეულ საკითხებზე შევაჩერო მკითხველის ყურადღება და ნათელვყო ჩემი წინამდებარე განცხადება.

„ისეთი შეგრძნებაა თავსმოხვეულ სიცხადეში, თითქოს საქართველოდან საქართველომ გააძევა საკუთარი ნამდვილი სახე და შინაარსი“ (გვ.15, განგაში!.. განგაში!) წერს ბატონი სერგი.

რა გამოდის: ასეთ შემთხვევაში ის „მავანი“ თვითონ საქართველოა, რომელიც თავისთავს აძევებს და ამაში დევს კიდეც ჭეშმარიტების ნაწილი, რადგან ჩვენ მოგვახვიეს თავს პოლიტიკა, რომლითაც, გინდა თუ არა, ჩვენი ხელით უნდა გამოვიჭრათ ყელი. ეს ისევეა, როგორც ლოგინში მწოლიარე „საქართველოს შარავანდედად“ წოდებულ კათალიკოს-პატრიარქის კირიონ მეორეს 1918 წელს ხელში დააჭერინეს რევოლვერი და მოკლულს თვითმკვლელობა დააბრალეს.

ამჯერად თვითმკვლელობის იდეოლოგია საქართველოს თავს მოახვიეს მსოფლიოს ე. წ. „ახალი წესრიგის“ არქიტექტორის, „რევოლუციების სპეციალისტად“ თვითწოდებული ჯორჯ სოროსის ძალისხმევით. უფრო სწორად, ე. წ. შევარდნაძე-სოროსის პოლიტიკური ალიანსით. ბატონი თამაზ წივწივაძე, რომელიც გამოირჩეოდა ცინცხალი გონებითა და წარმოუდგენელი იუმორით, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული ინტერესით ადევნებდა თვალს ე. შევარდნაძის მოღვაწეობასა და მისადმი გამოჩენილ დამოკიდებულებას ირონიას არ აკლებდა. ერთ-ერთი წერილით, ბატონი თამაზ წივწივაძე, ასევე ცნობილი, როგორც პოპულარული გაზეთის, „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი, ე. შევარდნაძის მოღვაწეობის თვალმიდევნებაში ერთ ასეთ იუმორისტულ შტრიხს გვიზიარებს: ეს კაცი არ დაკმაყოფილდაო საქართველოს პრეზიდენტობით და საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს სამინისტროების მინისტრობის თანამდებობებიც შეითავსაო. ე. შევარდნაძის მიერ შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების ფაქტობრივი შეთავსება თამაზ წივწივაძისთვის იუმორის საგანი გახლდათ, მაგრამ ე. შევარდნაძისთვის ის მონოლითური და გრანდიოზული პოლიტიკური მისია იყო, რომლითაც სრულყოფილად უნდა ჩაებარებინა საქართველოს

სახელმწიფო მანქანა მასონურ-სიონისტური მმართველობისათვის. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობისა იყო, სწორედ ამ სამინისტროების მინისტრობა. სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების მთავარი როლი!..

ჩვენ, ქართველ ხალხს გვაყავს ისტორიაში წმინდანი თევდორე მღვდელი, რომელმაც საქართველოში შემოჭრილ მტერს გზა-კვალი აურია და მტრის ამ უკუგზაზე დაყენებას შესწირა თავი. ე. შევრდნაძე არის **ანტი თევდორე**, რომელიც მტერს სამშობლო ქვეყნის ლაბირინთებში შეუძღვა და უზრუნველყო მტრისეული მმართველობა. ასე ჩააბარა საქართველო ევრო-ატლანტიკურ იმპერიებს მსოფლიოს სიონისტური ლოჟების მხარდაჭერით ედუარდ შევარდნაძემ. ამერიკელი მწერალი ლევ ბუნინი, ებრაული წარმომავლობის და კარგად გარკვეული მსოფლიოს დიდმპყრობლურ ზრახვებში, წლების განმავლობაში ცდილობს, გონს მოიყვანოს საქართველო და ქართველი ხალხი ამავე დროს გააგებინოს, **რომ ის არის დღეს ისრაელის კოლონია, რაც საქართველოს მის ხალხთან ერთად არ ესმის, თანაც თავს იტყუებს ევროკავშირისა და ნატოსკენ ლტოლვის რიტორიკით.**

ბატონი სერგი საჯაია ერთდროულად ებრძვის თავისი გონებითა და განწყობით იმ ბოროტებას და უბედურებასაც, რომელიც დღეს საქართველოში ტრიალებს, და იმ ქართული საზოგადოებრიობის პოზიციასაც, რომელიც მდუმარებაში ყოფნით მასპინძლობს ამ ბოროტებას. საქართველო კი, მოგეხსენებათ, რომ არ არის მხოლოდ დღევანდელი საზოგადოებრიობა. საქართველო, - როგორც ბატონი სერგი გვეუბნება, - თავისი დედანი შინაარსითა და ვინაობით, პირველ რიგში, ათასწლეულებგამოვლილი ეროვნული ერთობაა, ამასთან დიადი ერთობა, თავისი ოქროს ხანით, და მას ღირსეული პატრონობა სჭირდება დღევანდელ ცოცხალ მემკვიდრეთაგან, თორემ, იურისპუდენციაში არსებობს უღირსი მემკვიდრის მუხლი.

საუბედუროდ და სამწუხაროდ, დღეს საქმე გვაქვს სრულიად უპრეცენდენტო მოვლენასთან, - ქართველი ხალხის ისეთ მოტყუებასთან და ისეთ ცდომილებაში შეყვანასთან დამპყრობლის მიერ და დამპყრობლის მხრიდან, რომლითაც საქართველო თავის დამპყრობელს, შეუგნებლად,

თვითონვე უთმობს თავის ქვეყანას. ამასთან არა მხოლოდ თავისი ქვეყნის მიწა-წყალს, საკუთარ ეროვნულ მისიასაც კი. აი, რას ამხელს სერგი საჯაია და რაღაა მისი უძილო ღამეების მიზეზი.

ეს თავზარდამცემი ცბიერება, როგორც ისტორიული შედეგი, იწყება ბაბილონის გოდოლის დაცემიდან მოყოლებული და ლეიტმოტივად მიჰყვება მთელს ჩვენს ცივილიზაციურ ცხოვრებას, ბაბილონის დაცემიდან დღევანდელ ე. წ. მსოფლიო წესრიგამდე. ეს ყოველივე, როგორც მსოფლიოს ე. წ. „**ახალი წესრიგი**“, აულაგმავი ამბიცია გახლავთ მსოფლიოს სიონისტ აგრესორ-დიდმპყრობელთა მმართველობისა, რომელიც ასპარეზზე გამოდის ათასწლეულების წინ და მივყავართ ორი დიდი კატასტროფის საშიშროებასთან: ეკოლოგიური კატასტროფისა და პოლიტიკური კატასტროფის. ამ პრობლემის წამოწევას და ჩვენეულ ინტერპრეტაციას ჩვენ ვიწყებთ, ჩვენს მიერ 1989 წელს პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში გაკეთებული მოხსენებით, შემდეგ ჩვენი კონცეფციის გასაჯაროებით „**გრეის ფენომენის შესახებ**“, და ღია წერილის გამოქვეყნებით აშშ-ის პრეზიდენტისადმი წიგნად, 2018 წელს, სათაურით: **„ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებისაგან“.**

კაცობრიობის ბიბლიური ისტორია, ფაქტობრივად, ასახავს ბაბილონის დაცემისა და მსოფლიო ასპარეზზე აბრაამის მოდგმის გამოსვლის ისტორიას ამბიციით, რომ მან უნდა მართოს კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორია, რომელიც უნდა დაგვირგვინდეს მსოფლიოს მასონურ-სიონისტური მმართველობით. ჩვენ ვიმყოფებით კაცობრიობის ისტორიის იმ ეტაპზე, როდესაც რასისტულ-სიონისტური მოძრაობა მისულია აბრაამის გამოცხადებათა რეალიზაციის ეტაპზე, რომლითაც ჟიდო-მასონური მოძრაობა აცხადებს მზადყოფნას მსოფლიოს სიონისტურ-იმპერიული მმართველობისას, რაშიც მას ხელს უშლის, მისი აზრით, კაცობრიობის რიცხობრივი რაოდენობა და ერების არსებობა, უფრო ზუსტად: ხალხების ერებად არსებობა. ამიტომ, მსოფლიოს დღევანდელი ე. წ. „ახალი წესრიგი“ მიზნად ისახავს ერების ლიკვიდაციას „სამოქალაქო საზოგადოებებად“ მათი გარდასახვის გზით და კაცობრიობის რიცხობრივ შემცი-

რებას მასობრივი განადგურების იარაღით, ანუ ვირუსულ-პანდემიური ომით პლანეტის მასშტაბით, ფაქტობრივად ვირუსული მსოფლიო ომების გზით (ასეთი პროცესების განსამარტავად სერგი საჯაიამ დაამკვიდრა საგანგებო ტერმინი „დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციული ინდუსტრია). ეს ეტაპი კაცობრიობის ისტორიისა, როდესაც მსოფლიო ასპარეზზე გამოდის ებრაელი ერი არაბეთის უდაბნოდან წამოსული მომთაბარე აბრაამის თემის სახით, საკმაოდ მკვეთრად და ამასთან იგავთმეტყველური იდუმალებით არის აღწერილი ბიბლიაში. ბიბლიის ამ პასაჟებს მე ვუწოდებდი აბრაამის გამოცხადებათა ბიბლიურ ისტორიას, რომელიც ჩვენს თანამედროვეობაში ჰპოვებს ებრაელთა უფლისეული აღთქმის რეალიზაციას, მსოფლიო ხალხებისა და მათი ქვეყნების დაპყრობის შესახებ. ვფიქრობ საინტერესო უნდა იყოს მკითხველისათვის ერთი ეპიზოდი ქართულ-ებრაული გაზეთ „დავითის ფარი"-დან, რომელიც გამოდის ნიუ-იორკში. რამდენიმე წლის წინ, როგორც მახსოვს, 2005 წელს, გაზეთ „დავითის ფარში" დაიბეჭდა საქართველო-იტალიის კულტურული ურთიერთობათა საზოგადოების პრეზიდენტის, ქალბატონ მარინა ხონელიძის ინტერვიუ გაზეთის რედაქტორთან და მოხდა ისე, რომ საჯარო ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილებაში მუშაობის დროს ქ-ნმა მარინამ მთხოვა მისი წაკითხვა და აზრის გამოთქმა.

ინტერვიუში რესპოდენტის ასეთი განცხადება იყო გაკეთებული, რომელმაც თვალი მომჭრა და შემაჩერა, რამდენჯერმე წასაკითხად: **„ებრაელი ერის მისია იყო ჩვენი ცივილიზაციის შექმნა, ებრაელი ერის სადღეისო მისია არისო მიძინებული იბერიული ერის წარმოჩენა."** როდესაც მარინა ხონელიძეს მივუბრუნდი და დავეკითხე, რატომ გააკეთე-მეთქი ასეთი განცხადება, დაიბნა: სად წერიაო. ნახა, რომ მართლა წერია, როგორც მისი აზრი და განაცხადი და მაშინვე მიპასუხა: ეგ ჩაუმატებიაო კრიხელს – გაზეთის რედაქტორს. ასე ქმნიან, როგორც ჩანს, და ასე ავრცელებენ საკუთარ აზრებს სხვა ადამიანების პირით.

როგორც ვხედავთ, მასონურ-სიონისტური ძალების მეთაურები ადასტურებენ იმ ბიბლიურ სულისკვეთებას, რომლითაც თავიდანვე აცხადებენ ამბიციას ბაბილონის ცივილი-

ზაციის შემდგომი ცივილიზაციის შემქმნელობაზე, **რასაც აქ ემატება მიძინებულობა იბერიული ერისა!..**

უნდა მოგახსენოთ, რომ პირადად მე, დიდი ხანია ჩემს ნაწერებსა და გამოსვლებში, დავარქვი საკუთარი სახელი ამ „მავანთ“, დაწყებული სპარსეთის ყურესთან გამართული ამერიკული ომიდან, რომელიც აწ განსვენებულ ბატონ ვახტანგ ხარჩილავას ადრინდელ გაზეთში „მართალი გაზეთი“ დაიბეჭდა, ხოლო 1999 წელს საქვეყნო პროტესტი გამოვუცხადე ჯორჯ სოროსის „სამოქალაქო საზოგადოების“ და ე. შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირის“ იდეოლოგიას, რისთვისაც დავაფუძნე სრულიად საქართველოს საყოველთაო საკაცობრიო თეოლოგიურ-პოლიტიკური მოძრაობა: **„ერის უფლება და ღირსება“**. გამოვაქვეყნე კონცეფცია ამ მოძრაობისა ქართულ და რუსულ ენებზე. ეკლესიისა და ქართული ელიტარული ნაწილის მხარდაჭერამ ე. შევარდნაძის მმართველობისადმი, დააბნია ქართველი ხალხი და „სამოქალაქო საზოგადოება“ დღემდე არ არის გაძევებული, როგორც ყველაზე დიდი ბოროტება, ჩადენილი ე. შევარდნაძის მიერ. მისეული „მოქალაქეთა კავშირის“ იდეოლოგიით, რომელიც ჯორჯ სოროსის „სამოქალაქო საზოგადოების“ თანხვედრილი თეორია გახლდათ. **ე. შევარდნაძემ ერის თვითმყოფადი განვითარების იდეოლოგია შეცვალა ერის ლიკვიდაციის იდეოლოგიით ისე, რომ ქართველი ხალხის იმ ელიტარულმა ნაწილმაც კი, რომელიც ე. შევარნაძეს გვერდში დაუდგა, როგორც გამოცდილ პოლიტიკოსს, ვერ გაიგო, რა მოხდა საქართველოში; ეს იყო ე. შევარდნაძის მხრიდან არა მხოლოდ ღალატი, არა მხოლოდ გამყიდველობა ქვეყნისა, არამედ გაბითურება იმ ადამიანებისაც, რომლებიც გვერდში დაუდგნენ ე. შევარდნაძეს საპირისპიროდ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი, – ეროვნული მოძრაობით მოყვანილი პრეზიდენტისა.** ამას ემატებოდა განხეთქილება საქრთველოს პირველ პრეზიდენტსა და საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელს შორის, რაც ორივე მხარის გაუგებრობაში შეყვანით იყო გამოწვეული ხელოვნურად და ხდებოდა დინების საწინააღმდეგო ეროვნული იდეოლოგიის გარდასახვა

„დინების თანხვედრილ“ სოროსის სამოქალაქო საზოგადოებად, სრულიად გლობალურად ქართველი ერის მიერ.

ბატონი სერგი საჯაიას ბრწყინვალე დიაგნოსტიკით მიზანი ერთი იყო: **„ქართული სახელმწიფოს დამარცხება და ქართული ვინაობის დანაგვიანება.“**

„მართალია, ჯერჯერობით საქართველოში ქართველი ერი, მიუხედავად მისი მილევადი მდგომარეობისა, რაოდენობრივად უმრავლესობაში გახლავთ, მაგრამ ძალაუფლების მხრივ უკიდურეს უმცირესობაში აღმოჩნდა კი არა, სწორი იქნება თუ ვაღიარებთ, რომ თავის მიწაზე მას არანაირი ძალაუფლება არ გააჩნია“ („განგაში!..“ გვ. 9).

ქართველი ხალხი და ქართველი საზოგადოებრიობა რეაგირების გარეშე ხვდება ქვეყნის, უფრო ზუსტად, ჩვენი ამჟამინდელი სახელმწიფოს პოლიტიკურ-სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის განცხადებას, რომელსაც ბატონი სერგი საჯაია თავისი „განგაში!“-ის წიგნში მოამწყვდევს და საზოგადოებას მოუწოდებს:

„გაიხსენეთ ბაიდენის დებულება: მე არ მაინტერესებს ეროვნული ცივილიზაციები, კულტურები! მე ვიძიებ ხალხების დამოკიდებულებას უმცირესობებთან. ეს აშკარა და დაუფარავი მხარდაჭერა და წაქეზება გახლავთ ცალკეულ ქვეყნებში საეთნოდივერსიოდ თვითდამკვიდრებული საოვისტომოებისა თუ სქესობრივ, ან სარწმუნოებრივ უკუღმართობათა წასახალისებლად.“ (გვ. 19).

ქართული საზოგადოება გულგრილად ეპყრობა და რეაგირების გარეშე ტოვებს პარტნიორი ქვეყნების ამგვარ განცხადებებს. ზედმეტია რაიმე მოთხოვნის წაყენება სახელმწიფო ხელისუფლებისადმი. იგი ბაიდენისა და სოროსის ალიანსიდან იმართება და გაყუჩებული ისმენს აშშ-ის პრეზიდენტის, როგორც საქართველოს პარტნიორი ქვეყნის წარმართველი პიროვნების განცხადებას, რომ მას **„არ აინტერესებს ეროვნული ცივილიზაციები და კულტურები“.**

ეს გახლავთ პირდაპირ ალტერნატიული განცხადება ამერიკის წინარე პრეზიდენტის, ბატონი დონალდ ტრამპის მსოფლმხედველობრივი განცხადებისა: **„დაიცავით თქვენი ეროვნული პრიორიტეტები მშობლიურ ქვეყნებში! დაიცავით თქვენი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი!“** საქართველომ დაკარგა დონალდ ტრამპის საპრეზიდენტო მმარ-

თველობის ოთხი წელიწადი საკუთარი სუვერენიტეტისა და ეროვნული ინტერესების აღდგენის.

ამიტომ, ცამდე მართალია, როცა ბატონი სერგი დაუფარავად აცხადებს: **„ჩვენმა საზოგადოებამ, ჩვენდა საუბედუროდ, დღეს ნაკლებად იცის თავისი ეროვნული ნიშანსვეტი და საკუთარი ვინაობა!“** (გვ.19).

საყურადღებოა, რომ ბატონი სერგი დიდი მოკრძალებითაა განწყობილი მშობლიური ეკლესიის მიმართ, იმის რწმენით, რომ საქართველოს ეკლესიაში ვერ შეაღწია გლობალისტურმა დანაგვიანებამ ერისამ, ლოგიკურად იაზრებს პანდემიის ღვთითდაშვებულობის უფლისმიერ პოზიციასაც და წერს: **„ცხადია, გასაგები მიზეზების გამო, მე ვერ დავიწყებ იმის მტკიცებას, თითქოს კორონა ვირუსი ხელოვნურად შეექმნათ საგანგებო ლაბორატორიებში, მაგრამ მცდელობა, იგი იქცეს ლიბერასტულ-გლობალისტური ძალების შეთქმულებად ეროვნულ ღირებულებათა წინააღმდეგ, თვალში საცემია...“** და განაგრძობს: **„ცხადია, კაცობრიობა, უფალს უნდა ემოწაფებოდეს. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით დღეს, როდესაც მსოფლიო კორონავირუსის პანდემიამ მოიცვა, საჭიროა ჩაფიქრება იმაზე, თუ რა ცოდვის გამო გვეთავზარება იგი ჩვენ. ასეთ ვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ეროვნულ სახალხო სიფრთხილეს, ასევე ნებისმიერი ადამიანის შორსგახედვას“** („განგაში!..“ გვ. 54, 19. 05. 2020).

ცხადია, არაა გამორიცხული, რომ პლანეტარული პანდემია, რომელსაც მსოფლიო საზოგადოებრიობამ „მესამე მსოფლიო ომი“ უწოდა, ხანგრძლივი მზადების შედეგია, როგორც სიონისტური მოძრაობის ერთერთი უმთავრესი ამოცანის განხორციელება **ერების სამოქალაქო საზოგადოებად გარდაქმნის აუცილებლობასთან ერთად.** ამ გადაწყვეტილების, ამ ამოცანის ფორმულირება გახლავთ კაცობრიობის რიცხობრივი შემცირების გარდუვალი აუცილებლობის ქადაგება მსოფლიოს ე. წ. „ახალი წესრიგის“ იდეოლოგიურ სივრცეში. ამ საკითხს არაერთი საერთაშორისო კონფერენცია ჰქონდა მიძღვნილი, რომლის შედეგად თავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ეგვიპტის დედაქალაქში, კაიროში გამართა დასკვნითი საერთაშორისო კონფერენცია 1994 წლის სექტემბერში, რომლითაც უზრუნველყო გაეროს წევრი სახელმწიფოების მხარდაჭერა კაცობ-

რიობის რიცხობრივი შემცირების გარდაუვალი აუცილებლობის თაობაზე. ერთი შეხედვით, თითქოს ქართული საზოგადოებრიობისათვის უცნაური ფაქტია, რომ ე. შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის ბუტროს ბუტროს გალის თაოსნობით გამართულ კაიროს კონფერენციის მხარდაჭერაში კაცობრიობის რიცხობრივი შემცირების აუცილებლობის იდეისადმი, მონაწილეობს საქართველოც. თუ გვეცოდინება, რომ კაიროს კონფერენციის ოფიციალური დოკუმენტაცია გამოქვეყნებულია ინტერნეტ გვერდებში, მის მოძიებას აღარაფერი უნდა ერთ ღილაკზე ხელისდაჭერის გარდა.

ჩვენ აქ თავს შევიკავებთ უფრო მეტად ჩაღრმავებისაგან შურისძიების იმ შინაარსზე, რომელსაც ჩვენ მივაგენით ქრისტიანობის წინააღმდეგ მიმართულ შურისძიებაზე კაცობრიობის რიცხობრივი შემცირების გამოგონილი იდეასთან ერთად. მაგრამ უსათუოდ დავასკვნი, რომ ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს: **ე. შევარდნაძემ მხარი დაუჭირა საქართველოს და ქართველი ხალხის სახელით არა მხოლოდ ქართველი ერის ეროვნებად ყოფნის ლიკვიდაციას, არამედ კაცობრიობის 8 მილიარდის განადგურებასაც, რასაც არასოდეს ჩაიდენდა ზვიად გამსახურდია.** ასეთი გახლავთ ბატონ სერგი საჯაიას მიერ „კოლხური კოშკის“ მსოფლმხედველობად სახელდებული შინაარსი.

ამიტომაც გააძევა მსოფლიოს მასონურ-სიონისტურმა ძალამ საქართველოს პირველი პრეზიდენტი და არა მისი პიროვნული შეცდომებისათვის, რისი გაცნობიერებაც ქართული საზოგადოებრიობის მიერ დღეს არის უმთავრესი ამოცანა, რადგან ამ რეალობის გაცნობიერების გარეშე საქართველო ვერ დაიბრუნებს თავის სამშობლოში საკუთარ ვინაობას.

სრული სიზუსტით ასკვნის ბატონი სერგი საჯაია ზვიად გამსახურდიას განდევნის შედეგს, როგორც დამღუპველ პოლიტიკურ აქტს ქართველი ერის სიცოცხლისათვის:

„ჩვენ ქართველები, მას შემდეგ, რაც ჩვენივე წინგაუხედაობით ეროვნული ხელისუფლება განვდევნეთ, დავეშვით იმ დონემდე, რომ ჩვენს გარშემო მიმდინარე თავსმოხვეულ მოვლენებს თუ საძრახ შემოთავაზებებს დიდი ხალისით ვაძლევთ საშვს საზოგადოებრივ მიმოქცევაში ფეხმოსაკიდებლად“.

იქვე ბატონი სერგი აღნიშნავს: **„არ გვჯერა, არ გვწამს ჩვენი სრულფასოვნების. ეს ურწმუნოება გვიმახინჯებს გონებას, რის გამოც რთული ვითარების აღქმა-შეფასება და შესაბამისი წინგახედული განაბიჯების უნარი წაგვერთვა.“** (გვ. 67).

მძვინვარე ვითარებას, რომელიც საქართველოში იკიდებს ფეხს, ბატონმა სერგიმ ქართველი ერის საეთნოფაბრიკაციო დივერსია უწოდა, ანუ გადაზელვა ქართველი ერისა, როგორც ეთნოდივერსიული ნედლეულისა ჯორჯ სოროსის სამოქალაქო საზოგადოებად, ე. ი. ადამიანების უვინაო მოქალაქეობრივ ერთობად.

ამასთან დაკავშირებით, ბატონ სერგი საჯაიას არ გამორჩენია მხედველობიდან ჩემს მიერ ქართული ქრისტიანულ მონასტრული ისტორიული ლაბირინთებიდან ამოწერილი განსაზღვრება ქართველი ერისა, როგორც „ახალი საღმრთო ერის.“

არ შემიძლია ხაზგასმით არ აღვნიშნო, რომ **ბატონმა სერგი საჯაიამ პირველმა მიაპყრო ამ ფორმულირებას ყურადღება,** როდესაც მე „9 აპრილის“, როგორც მოვლენის შეფასება მომიხდა რადიო ეთერით, ხოლო შემდეგ ჩემი რადიო გამოსვლა გაზეთში გამოქვეყნდა, როგორც ანალიტიკური წერილი, სათაურით: „**ახალსა ამას ერსა საღმრთოსა**“. უნდა ვაღიარო, რომ ეს ფორმულირება ამ დროისათვის ჩემი საიდუმლო კვლევის საგანი იყო და არ მიმითითებია, რომ იგი გიორგი მთაწმინდელს ეკუთვნოდა. სათაური მხოლოდ ბრჭყალებში იყო ჩასმული, როგორც ციტირება სტრიქონისა, რომელიც არაფერ შუაში იყო „9 აპრილის“ მოვლენასთან. ეს ჩემი სუბიექტური განცდა იყო მხოლოდ, რასაც მისნური გუმანით, რაღაც მისტიური ინტუიციით ვგრძნობდი, რომ 9 აპრილს მშვიდობიან, სანთლებით გაბრდღვიალებულ, მლოცვარე და მგალობელ აქციას, რომელიც კონსტიტუციური უფლებით იყო უზრუნველყოფილი, ამ ტანკების გრიალით თავდასხმა რუსეთის გზით უცნობი და უხილავი ძალისა ქართველ ერზე, როგორც ახალ საღმრთო ერზე. ეს აზრი განსაკუთრებით გამიძლიერდა როდესაც აფხაზეთიდან 300 ათასი ქართველი მოსახლის ესოდენ მონოლითური გამოდევნა შესდგა. რაღაც ბიბლიურ ეპიზოდს მაგონებდა ჭუბერზე გადმოსვლა. უნდა აღვნიშნო, რომ არავის შეუნიშნავს, ყოველ შემთხვევაში ჩემამდე არა-

ვის შემჩნევა არ მოსულა წერილის სათაურისა, რომელიც ასე იწყებოდა: **„ყოველ ერს თავისი საკუთარი ღვთითბოძებული მისია აქვს, და ეს მისია ღვთისგანვე იმართება...“**

ოცი წელიწადი იყო გასული ამ წერილის გამოქვეყნებიდან, 2009 წელი გახლდათ, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომი პერიოდი, როდესაც აფხაზეთის დევნილი ლეგიტიმური ხელისუფლების რეზიდენციაში მომიხდა მისვლა, როგორ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი გაერთიანების: „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის“ დამფუძნებელსა და ხელმძღვანელს, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლებისათვის ჩვენი დარბაზის სახელით მომზადებული კანონპროექტის წარსადგენად საპარლამენტო განხილვისათვის.

კანონპროექტი ცნობილი იურისტის, კანონშემოქმედების სპეციალისტის, პროფესორ ოთარ გამყრელიძის მეთვალყურეობის ქვეშ იყო მომზადებული სათაურით, **„საქართველოს სახელმწიფოს მიერ ვერკონტროლირებადი ტერიტორიების ეკლესიურ-ეპარქიული მმართველობის შესახებ“.**

აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების რეზიდენციაში მისვლისთანავე, როგორც კი გაიგეს მიზეზი ჩემი მისვლისა, ჩემთვის სრულიად უცნობ სერგი საჯიასთან წარმადგინეს, როგორც აფხაზეთის ხელისუფლების საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თავმჯდომარესთან.

ბატონმა სერგიმ ხელის ჩამორთმევასთან ერთად ყოველგვარი შეკითხვისა და მისალმების ფორმის ნაცვლად მომახალა: „თქვენ აღმოაჩინეთ „**ახალსა ამას ერსა საღმრთოსა**“. რა თქმა უნდა, გამიხარდა. ბატონი სერგი ის პირველი ადამიანი იყო, ვისაც 20 წლის წინ გამოქვეყნებული ჩემი წერილის სათაური „ახალსა ამას ერსა საღმრთოსა“ ახსოვდა და ისიც ახსოვდა ვინ იყო ავტორი ამ სტრიქონისა. ამ ფაქტმა მისი შემოქმედებით დამაინტერესა და **მეც აღმოვაჩინე, რომ აფხაზეთსაც და საქართველოსაც თავისი „ჭყონდიდელი“ ჰყოლია. ეს სერგი საჯაია გახლავთ** (შემდგომ გავიგე, რომ დევნილობაში მყოფ პრეზიდენტ ზვიად გამსა-ხურდიას მან მიაწოდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მსოფლმხედველობრივ პროგრამად „ეროვნულ-სახალხო მოძრაობა „ჭყონდიდელი“). ბუნებრივია, ბატონ სერგის მხედველობას არ გამორჩებოდა და ერთგვარად გახმაურებული

ჩემი წიგნი: **„გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“**, რომელიც არსებითად ამ ფორმულის: **„ახალსა ამას ერსა საღმრთოსა“** ჩემეული კვლევა და განმარტება იყო. წიგნი გამოსაცემად 2011 წლის მიწურულს უკვე მზად იყო, მაგრამ გამომ-ცემლობის დირექტორმა, ბატონმა გოჩა ხარებავამ ისურვა, ბარემ ახალი წლის თარიღით გამოგვეცა და დავთანხმდი.

ბატონმა სერგიმ თავისი წერილით ჩემს წიგნზე: **„გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“** საგონებელში ჩამაგდო.

„დებულება ქრისტესმხედრულ ვინაობაზე, ანუ „ახალსა ამას ერსა საღმრთოსა“ - როგორც უკვე გითხარით, ასეთი გახლდათ ბატონი სერგის გამოხმაურების სათაური ჩემს წიგნზე: „გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“.

სანამ სიტყვას განვაგრძობდე, უნდა მოგახსენოთ, რომ ბატონი სერგი საჯაია, როგორც იშვიათი მოქართულე, ხშირად მაგონებს იმ მოქანდაკეს, რომელიც ცდილობს ააღორძინოს ქართული სული და ახალი სიტყვებითა თუ ცნებებით შეიარაღოს იგი.

ასე მაგალითად, აღმოჩნდა, რომ როდესაც ჩემი **„გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველებას“** გაეცნო, იგი განმარტა როგორც „**კოლხური კოშკის მსოფლმხედველობის**“ განგრძობა და ამისათვის შექმნა სახეზოგადი ცნება - **„ამთერგღრიალებელი განიშანსვეტება“.**

იგი საგანგებოდ ამტკიცებს, რომ **„დავით აღმაშენებლის უარი ბიზანტიის კურაპალატობაზე, გახლდათ არა ამპარტავნული თვითდამკვიდრების მცდელობა, არამედ, ეს იყო განცხადება ქრისტესმხედრული მოვალეობის გაპიროვნებაზე.**

სწორია, ამით მოხდა საზოგადოებრივი ცნობიერებიდან ქვეშევრდომელი სულის გაძევება სრულიად საქართველოს გონითი განფენის სივრციდან.

ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ზნეობრივი კვარცხლბეკი მესიის მახვილისა, ანუ სულიერად და პოლიტიკურად დამოუკიდებელი სახელმწიფოს ამღორძინებელი წინამძღოლის გზაა იგი, რომელიც, ამავე დროს, უფლის დასტურისა და სახალხო ნების შესაბამისად „<u>ძლევაი საკვირველის“ გამომჭედად იქცა.</u>

თვით „<u>ძლევაი საკვირველი</u>“ კი გახლავთ საშუალება სრულიად საქართველოს გამუხლმაგრებისა ძალისხმევად „<u>ახალსა ამას ერსა საღმრთოსა...“</u>

ბატონი სერგი საჯაიას შეფასებითა და მის მიერ დადგენილი ტერმინით - „**კოლხური კოშკის“ ცნობიერება**“, სწორედაც რომ ზუსტად არის მონიშნული ამ მსოფლ-მხედველობისა და ძალისხმევის წმინდა ილია მართლისეული შემდგომი რეგლამენტი საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში.

ამის საწინააღმდეგოდ, როგორც ბატონი სერგი საჯაია მართებულად ასკვნის, დღევანდელი მსოფლიოს ე. წ. წესრიგი, ანუ აგრესიული გლობალიზმის ძალადობა, თავისი „სამოქალაქო საზოგადოების“ თეორიის დამკვიდრებით, საქართველოში ეწევა ქართველი ერის ეთნოფაბრიკაციას, ანუ სანედლეულო გადაზელვას ქართველი ერისას უვინაო მასად, მეტიც, ეს გახლავთ ერთიანი გენეტიკური ერთობის, როგორც ეროვნული დედანი შინაარსის გარდასახვა უვინაო კონგლომერატად, რაც ეროვნული მეობის დამარხვას ნიშნავს. აქედან გამომდინარე, ეს ეთნოფაბრიკაცია ქვეცნობიერად გაიაზრება ჩვეულებრივ დანაშაულზე აღმატებულ დანაშაულად. ეს კი იგივე სიონისტური მოძრაობაა, რომელიც თავისი მიზანდასახულობით დღეს მსოფლიოს აბრაამის იმპერიად გვიქცევს. ასეთი პლანეტარული რეალობა, პირველ რიგში **მიზნად ისახავს თავისი გამოგონილი ცნობიერებით გააქროს და დამარხოს გიორგი მთაწმინდელის ახალი საღმრთო ერი.**

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ, დღეს ბატონი სერგი საჯაიას სახით „**კოლხური კოშკის**“ მსოფლმხედველობას ჭკვიანი, მტრის ილეთების ზედმიწევნით მცოდნე და ერთგული მეციხოვნე ჰყავს.

ვულოცავ მას 75 წლისთავს. ღმერთმა ორი მაგდენი დააბედოს, რადგან ეს კაცი სჭირდება საქართველოს!..

8. 10. 2022 წ.

წერილი დაიწერა საგანგებოდ წინამდებარე კრებულისთვის.

„მარად და ყველგან, საქართველოვ“...

მანანა ტაბიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ბატონმა სერგი საჯაიამ კიდევ ერთი წიგნი მოამზადა გამოსაცემად. ესაა წიგნი მხილება. წიგნი საქართველოს უახლეს ისტორიულ პროცესებზე, წიგნი საქართველოზე.

სტრიქონებს შორის ავტორის ბიოგრაფია იკითხება. ის არის მოწმე იმ მოვლენებისა, რომელთაც კვალი დატოვეს ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში. ბატონი სერგი საჯაია მონაწილეობდა ქართული ეროვნული მოძრაობის ყველა მნიშვნელოვან ისტორიულ პროცესში. იმყოფებოდა აფხაზეთსა და სამეგრელოში მაშინ, როდესაც იქ უსამართლობის ჩარხი დატრიალდა. მისი მონათხრობი არაა მხოლოდ დოკუმენტალისტის ნაამბობი ისტორიები, არამედ ესაა „შიგნიდან“ დანახული მოვლენები და მათი მიზეზ-შედეგობრივი კავშირები; დღეს პოლიტიკურ მეცნიერებებსა და პრაქტიკაში ხშირად გაიგონებთ, რომ ამა თუ იმ საკითხის ემოციური შეფასება არაობიექტურობის ნიშანია, და ე. წ. პირუთვნელი მსაჯული ისაა, ვინც გულგრილია პრობლემის მიმართ. ანუ, ცოტაოდენი უტრირებით, გულგრილობა ობიექტურობაა. ვაი რომ, ამ „თავმოსაწონი გულგრილობით“ გადაწყდა ჩვენი ტერიტორიების გასხვისების, ეროვნული იდეალების დათმობის, სარწმუნოებრივი და ტრადიციული ღირებულებების დაგმობის არაერთი საქმე...

ბატონ სერგი საჯაიას წინამდებარე წიგნში გულგრილობის ნატამალსაც ვერ იპოვით. და რამდენადაც პოლიტიკოსებისა და მათი მაამებელი, და მათგან ნაამები, მეცნიერების ობიექტური გულგრილობის შედეგები დღეს სახეზეა, ვფიქრობ, ეს წიგნი მონატრებულ გულშემატკივრობასთან შეგვახვედრებს და დაგუბებულ ცრემლსა და განცდას მანუგეშებელ გამოსავალს მისცემს.

ამ წიგნში გაცხადებულია ვერაგობის ნამდვილი სახე, მხილებულია ავი საქმეები, რომლებიც სიკეთის ნიღბითა და სიკეთის სახელით იხლართება.

ჩვენ წინაშეა ძალიან რთული და სულისშემმვრელი წიგნი. მისი ავტორის მდიდარი და ხატოვანი ქართულის მიუხედავად, *ძნელად წასაკითხი და აღსაქმელი,* რადგან ყოველი სტრიქონი ემოციურად გვტვირთავს, გვაკრთობს და გვაღელვებს. ძალიან ბევრი ასოციაცია ჩნდება, ძალიან ბევრი ტკივილი მოდის მისი ფურცლებიდან, ძალიან მწარეა გულისდაწყვეტა...

ამ წიგნს მარტივად ვერ გადაიკითხავ, ის მოითხოვს ფიქრსა და თანატანჯვას.

აქ არის ამბავი იმისა, თუ როგორ აჩვევევენ ჩვენს ყურსა და თვალს სამეგრელოს არაქართულობას, როგორ აცხადებენ ინტელექტუალთა დემაგოგიას მეცნიერებად და სიბრძნედ, როგორ ეუბნებიან მეგრელებს ქართველები არა ხართო, როგორ ეუბნებიან დანარჩენ საქართველოს სამეგრელოს სიავესა და უცხოობას, როგორ ამტკიცებენ მავანნი საქართველო სამეგრელოში ოკუპანტიაო!.. როგორ გვიბნევენ გონებას, როგორ გვიყალბებენ ისტორიას, როგორ გვართმევენ მიწა-წყალს აღმოსავლეთშიც, დასავლეთშიც, მთაშიც და ბარშიც...

ავტორი ჩვეული პირდაპირობით ამხელს მათ, ვისაც ურჩევნია ამ ბოროტებას თვალი დაუხუჭოს, ვერმიმხვდარობა მოირგოს და თავისი პასიურობა და სიმხდალე იმით ახსნას, რომ საშიში არაფერია, განგაში გადაჭარბებულია, თორემ მართლაც რომ არსებობდეს საფრთხე, თავადაც იბრძოლებდა, რბილ და თბილ სავარძელზე უარს იტყოდა, თავადაც გმირად იქცეოდა, უბრალოდ, ახლა გმირობის საჭიროებას ვერ ხედავს. მათ, სწორედ მათ მიმართავს ბატონი სერგი, როდესაც აცხადებს: *„ასეთ შემთხვევაში იმათ, ვისაც მართლა ჰგონია, რა მოხდა, მერეო, ვპასუხობ: მოხდა ის, რომ დღეს საქართველო ევრო-ატლანტიკური ლიბერასტობისა და ველიკოდერჟავულ დამჩექმებლობათა გარიგებით დაადგინეს საეთნოფაბრიკაციო ინდუსტრიის პოლიგონად, სადაც*

ახალი მიზნობრივი ნაციების შესაქმნელად საეთნოდივერსიო ჭურვები სახელმწიფო პოლიტიკისა და მკაცრად მონიშნული გეგმით ყოველმიზეზგარეშე უნდა დამზადდეს.

ასეთი იარაღის სამიზნეა 1. <u>მართლმადიდებლური ეკლესია;</u> უნდა მოხერხდეს მისი სახელგატეხვა, კორუფციაში ჩათრევა, მიწიერ საცდურებთან მიარტახება და ერთიანობის დაქუცმაცება; 2. <u>საქართველოს ღვთისმშობლისწილხვედრილობა;</u> ქვეყნის გიორგიანული, ქრისტესმხედრული წესრიგისა და, რაც მთავარია, ქართველი ერის ლასკარული მხოლოდშობილების გაცამტვერება, ხოლო ერის მრავალხმიანობის ერთჰანგობა ფესვებშივე ჩაიწალდოს უნდა.

მიზნის მისაღწევად დადარაჯებული მტერი ცდილობს ქართულ მხარეთა „დაქუცმაცება-გასხვაქვეყნებას“, ხოლო აქაური მკვიდრი მოსახლეობის თავისებურებათა სეპარატიზაციით სახელდახელო ნაციის, - ანუ თავის ვინაობასთან მიმდგომელი ეთნოგენმოდიფიცირების გამოინკუბატორებას.

ამიტომ სჭირდება ამნაირ საკითხებზე ყველა ნაბიჯსა და ნათქვამს ათასჯერ აწონ-დაწონვა და ერთხელ გადაჭრა.“

დავეთანხმები ბატონ სერგის და ვიტყვი, რომ სიცრუის მხილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. თანამედროვე ადამიანი თავისი პირადული საზრუნავის, განათლების დეფიციტისა და გაუცხოების სინდრომის მოძალების გამო თავის ვიწრო თვალსაწიერს მიღმა ვერ იხედება და იმ მოვლენათა შემჩნევასა და გააზრებას ვერ ახერხებს, რომელთა გამოც სჭირს უამრავი უბედურება; ხოლო ვიდრე მიზეზთა მიზეზს ვერ ჩავწვდებით, საქმის სასიკეთოდ შემობრუნებასაც ვერ შევძლებთ. ამიტომაც უდიდესია ღვაწლი იმ ადამიანებისა, რომლებიც სიმართლის ძიებაში მოსვენების უფლებასაც კი არ აძლევენ თავს, მათ შეიძლება განმმარტებლებიც ვუწოდოთ; ისინი გამოწვლილვით სწავლობენ საკითხს, დაუღალავად იკვლევენ ისტორიულ მაგალითებს, პარალელებს ავლებენ, მახევარსიმართლეს სრულ სიმართლედ აქცევენ და გულისტკივილით, და ერთგვარი თანაგრძნობითაც კი, ამხელენ ცრუმქადაგებლებს, ფარისევლებსა და უკუღმართ

მწიგნობრებს. მკაცრად გმობენ ღალატს და მთავარ კრიტერიუმად მამულს, ენასა და სარწმუნოებას იმარჯვებენ. ეს სამი უტყუარი საზომი არასოდეს შეგვიყვანს შეცდომაში; ეს სამი უტყუარი სანთელი ნებისმიერ ბნელს გაანათებს და ჭეშმარიტებას შეგვაცნობინებს. ბატონი სერგი საჯაია ამ სანთლებით მიიკვლევს გზას და ჩვენთვისაც ანათებს ბნელს. რაც უფრო „ძნელდება ომი“, მით უფრო დიდია პასუხისმგებლობა და ტვირთი. ამ ტვირთზე უარის თქმა ღალატის ტოლფასია. ჩვენ გვიყვარს და გვეამაყება ჩვენი წარსული, თუნდაც მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური და კულტურული მიღწევები, გამორჩეული გმირები და მოღვაწეები; ისინი გვავიწყებენ, რამდენმა ქართველმა დაიჩოქა იმპერიის წინაშე, რამდენმა იომა სხვის ომებში ჩვენი ქვეყნის მტრის გვერდით, რამდენმა გაცვალა ჩვენი მიწა-წყალი „შაჰის ხალათზე“, რამდენმა ვერ გაიგო ილიას, კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძის, ზვიადის, მერაბის ფასი... დიახ, იდეალური ქვეყანა და ყოვლად შეგნებული საზოგადოება არცერთ ქვეყანას არასოდეს არ ჰყოლია, მაგრამ თუკი ყოველ ისტორიულ მომენტში ქვეყნის გულშემატკივარი თითო-ოროლა ადამიანი მაინც გამოერევა, მათი წყალობით ქვეყანა გადარჩება, ერის ღირსება იქნება დაცული შემდგომი ისტორიული ეტაპის დასაწყებად.

გადაჭარბებად არ მეჩვენება იმის აღნიშვნა, რომ ბატონი სერგი საჯაიას წინამდებარე წიგნი ამგვარი გადამრჩენელთაგანია, დიდი, მოღვაწე ადამიანის მიერ დაწერილი. ის უთუოდ იპოვის თავის მკითხველს, რომელიც მიწოდებულ სამ სანთელს ხელში აიღებს და ბნელი ლაბირინთიდან გამოსასვლელ გზას გააგრძელებს.

ბატონი სერგი საჯაია იმ თვალსაზრისებს ეხმიანება, რომლებიც საქართველოსთვის საჭირბოროტო საკითხებს საჯაროდ განიხილავენ და ტყეილ-მართლის გამიზნული შეზავებით მცდარი დანასკვისაკენ ეძალებიან მკითხველსა და მსმენელს. როგორც წინამდებარე წიგნიდან ჩანს, ამგვარი სტატი-

ები და წიგნები, გადაცემები და საჯარო გამოსვლები ცოტა არ არის. ბატონი სერგი ფხიზლად ადევნებს თვალს ყველა ამგვარ მცდელობას, სიღრმემდე მიჰყვება ყველა როყიოდ ნათქვამ სიტყვას და შორი თუ ახლო ისტორიის გამოცდილების, ანალოგიების მოხმობით ცდილობს არა მხოლოდ დღვანდელი მოცემულობის დიაგნოსტირებას, არამედ იმ შედეგების განჭვრეტასაც, რომელიც შეიძლება დადგეს, თუკი ამ იდეოლოგიურ მაქინაციებსა და დემაგოგიაში დროულად არ აღმოვაჩენთ ავისმომასწავებელ სიმპტომებს.

ცხადია, არა მხოლოდ სახელმწიფო მანქანა, არამედ მსოფლიო პოლიტიკური პროცესებიც ერვნული სახელმწიფოების წინააღმდეგაა მიმართული, მსოფლიოს საგანმანათლებლო სისტემაც სიყრმიდანვე ზრდის და წვრთნის რჯულისა და მამულის წინააღმდეგ მოქმედ ადეპტებს, ძლიერთა ამა სოფლისათა მხრიდან არასოდეს და არავინ არ დაეხმარება დინების წინააღმდეგ მოძრავ ადამიანებს, ყველა ხელს უშლის მათ ერთიანობას, მათი ავტორიტეტის ზრდას ხალხში, მათ წარმატებასა და ცხოვრებისეულ კეთილდღეობას...

გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს დამაშვრალი, შეუპოვარი მამულიშვილები მაინც არ ისვენებენ, მაინც არ ცხრებიან, ბოლო ამოსუნთქვამდე სიმართლისათვის მებრძოლის ხვედრს მიჰყვებიან, ასეთები ამ სოფლიდან წასვლის შემდეგაც კი განაგრძობენ ბრძოლას თავისი სახელებით, თავიანთი წიგნებით, თავიანთი სიტყვებითა და, ღმერთმა უწყის, საიდან აღმოცენებული მიმდევრებით...

სერგი საჯაიას წიგნში შეფასებულია ყველაფერი, რაც ხდება საქართველოში. მათ შორის იქედნურად მოაზროვნეთა შეცდომების გარდა მათ მიერ წამოსროლილი თუ წამოცდენილი სიმართლეც. ეს სიმართლე ხშირად გამიზნულად და ზუსტად იმ დოზითაა ნათქვამი, რომლითაც საზოგადოების კეთილშობილურ ნაწილს დროებით მაინც შემოიკრებს რომელიმე მცდარი და საზიანო იდეის განხორციელების საქმეში გასასვრელად და ჭეშმარიტი, მამულიშვილური გზიდან ასაცდენად, ამ მოქმედებებში ის იდეაცაა

ჩადებული, რომ მერე, როდესაც ჩადენილი ბოროტება გაცხადდება (ეს კი ყველამ ვიცით, რომ გარდაუვალია), სინამდვილეში შემცდარმა (მაგრამ არა დამნაშავე) ადამიანებმა არა მხოლოდ სხვისი დანაშაულის ვერგამოცნობის შეცდომაზე პასუხისმგებლობის მტანჯველი განცდით განაგრძონ ცხოვრება, არამედ კიდევ ერთი მარცხით გამოწვეული დეპრესიის გამო სამუდამოდ თუ არა, ხანგრძლივი პერიოდით მაინც ვერ შემლონ სიმართლისათვის ბრძოლა, და იქედნეს თავისი ბნელი საქმეებს კეთებაში ხელი ვერ შეუშალონ.

სამწუხაროა, მაგრამ ამჟამადაც ამ შესანიშნავ წიგნს ბევრი პერსონალიათა კრიტიკად გაიგებს და წაიკითხავს და არა საქართველოს ჭირ-ვარამის სწორი ანალიზის აუცილებელ პირობად. ილია ჭავჭავაძესაც ასე უწევდა თავისი კრიტიკული წერილების აწყობა. ზოგადი ღალატი და ზოგადი ქვეგამხედვარობა ხომ არ არსებობს, ღალატსა და ეგოცენტრიზმს სახელები და გვარები აქვს... ეს სახელები უნდა ითქვას... რათა არავის ჰქონდეს ილუზია, რომ მის ანგარებასა და მუხთლობას ვერავინ გაიგებს.

ცხადია, ყველას გვესმის, რომ მწვავე საკითხებზე საუბრისას მწვავე დაპირისპირებებია მოსალოდნელი. რამდენიც არ უნდა უკიჟინონ საქართველოს მტრებმა საქართველოს ქომაგებსა და გულშემატკივრებს, რომ ისინი საკითხებს ხელოვნურად აპოლიტიკურებენ, სიმართლეს ამრუდებენ, ფსევდომეცნიერულ აზრებს ავრცელებენ და ა. შ., ფაქტი მაინც ფაქტად რჩება – ერთ მხარეს ილიაა, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, კონსტანტინე გამსახურდია, ზვიადი, მერაბი და მთლიანი, ერთიანი საქართველო, მეორე მხარეს კი ისინი არიან, ვისთვისაც საქართველო კუთხეებადაა დაქუცმაცებული, ცრუმწიგნობართა მიერ უკუღმართად წაკითხული ისტორიით, „ხმათა ხავერდებისა და ღმერთების ენის“ გარეშე დარჩენილი – იქ <u>*არ არის*</u> ქართლის ცხოვრება, ქართული ჰაგიოგრაფია, შოთა რუსთაველი, დავითი და თამარი, გიორგი ბრწყინვალე, ქართული პოლიფონიური მუსიკა, ოპიზრე-

ბი და ქართული ხუროთმოძღვრება, სასაქართველოო დიდ-
გორები და ბახტრიონები, იქ არაფერი არ არის, იქ არავინაა...

უღრმესი მადლობა ბატონ სერგი საჯაიას, რომ იმ არარაობისკენ გადაჩეხვის საფრთხეში მყოფთ ხელი შეაშ-ველა, აზრი გაუნათა, გული გაუკეთა და საქართველოსთვის უწყვეტი მარადიული ბრძოლის ამ ისტორიულ მომენტში მკაცრი და უდრეკი მეციხოვნის ტვირთი იტვირთა.

დაიბეჭდა წიგნში „გულსმიწერაქვებული ახავი, ანუ წინგაუხედავად ყურდახშობილი საზოგადოება“, თბილისი, 2019 წ.

მებრძოლად დაბადებული

მიხეილ ლაბაძე,
ფილოლოგიის დოქტორი

ბატონი სერგი (გიორგი) საჯაიას წიგნზე „გულსმიწერაქვებული ახავაი, ანუ წინგაუხედავად ყურდახშობილი საზოგადოება (რაგადობანი 2)“, რომლის რედაქტორობაც მე მხვდა წილად, ეგებ ეს პატარა წინასიტყვა არც დამეწერა - ავტორი თავადაც მშვენივრად ამბობს სათქმელს (თუნდაც მარტო სათაურით); თუმცა, როდესაც წიგნი რამდენჯერმე გადავიკითხე. გულმა მაინც საწერად გამიწია და უცებ, რასაც ვფიქრობდი, ის დავწერე:

ბატონი სერგი აფხაზეთის ძირძველი მკვიდრი გახლავთ. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ „ძალიან მშვიდობიანი ხელობის კაცი - ერთ დროს საშუალო სკოლის მასწავლებელი და დღეს მწერლობა მოპიროვნებული, ასევე 1992-1993 წლების ჩვენთვის სამამულო ომის ვეტერანი“. ისევევ როგორც მის მის მხატვრულ ნაწარმოებებში, აქაც - ამ წიგნშიც, ძალუმად იგრძნობა ის აფხაზეთი, რომელიც ყოველი ნამდვილი ქართველის გულში სულ ცოცხლობდა, ცოცხლობს და იცოცხლებს მარად, როგორც ერთიანი, განუყოფელი საქართველოს მესაძირკვლე.

ყველაფერი, რასაც ბატონი სერგი ამ წიგნში რაგადობს („რაგადობა“ - საუბარი ალერსივით. საბა), კარგადაა ნაცნობი არა მარტო მისი კუთხის, არამედ - ზოგადად, ყოველი ქართველისთვის თუ არაქართველისათვის: ჩვენ ყოვეთვის ბრძოლა გვიწევდა, გვიწევს და მოგვიწევს ყველა მიმართულებით - ბრძოლა გადარჩენისა და თვითდამკვიდრებისათვის. მთელი ჩვენი ისტორიაც ხომ ასეთი ბრძოლაა და სანამ ვიბრძვით - იქამდე ვიცოცხლებთ.

ჰოდა, ყოველი ქართველი - თუნდაც ძალიან მშვიდობიანი ხელობის კაცი იყოს - იმთავითვე მებრძოლად, ანუ **ქრისტეს მხედრად** იბადება. რაც უნდა ყურდხშობილი იყოს საზო-

გადოება, მას გულს მიწერაქვებული ახავაი უთუოდ გამოაფხიზლებს _ მით უმეტეს მაშინ, თუ ამ ახავაის აბჯარშემოლეწილი, მაგრამ მაინც უდრეკი აფხაზეთის მკვიდრი დასძახებს.

დაიბეჭდა წიგნში „გულსმიწერაქვებული ახავაი, ანუ წინგაუხედავად ყურდახშობილი საზოგადოება“, მე-2 ნაწილი, თბილისი, 2019 წ.

სიტყვით მხატვრობის ოსტატი

მიხეილ ლაბაძე,

სერგი საჯაია სიტყვით მხატვრობის იმ ოსტატთაგანია, რომელთაც ძალუძთ, მკითხველი სულის სიმების ერთი შე-რხევით გამოაფხიზლონ. ამას დარწმუნებით ვამბობ, რადგან საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი ბატონი სერგის ნაწერების ზემოქმედება. ისიც ვიცი, რომ ყველა, ვინც მისი ნოველების ამ პატარა, მაგრამ უდავოდ მრავლის დამტეველ წიგნუკას წაიკითხავს, მყისვე დამეთანხმება და თანაც, კმაყოფილი, ოდნავ სევდანარევი ღიმილით.

„ახალნათოვზე სისხლიანი ამონახველით მივიკვლევ გზას, იქნებ ვინმემ - თემშარას აცდენილი თაობიდან, ეროვ-ნული საფიხვნოსკენ მიაგნოს სვლაგეზს“, - წერს თავად ბა-ტონი სერგი ნოველების კრებულის წინასიტყვაობაში. უფ-რო უკეთ რომ ვთქვათ - ხატავს, რადგანაც კაცი, რომელიც ამ სტრიქონებს წაიკითხავს, გონებაში უთუოდ მრავალს რასმე წარმოიდგენს. მე, მაგალითად, ვაჟასეული, **ლაშარის გორზე აღმავალი ლუხუმი** წარმომიდგა თვალწინ და მომინდა, თან გავყოლოდი მას.

„სისხლად ამონახველი მწუხრისბჭობა ახალნათოვზე“ სულ ამგვარ - სიტყვით დახატულ ნოველებს შეიცავს, თანაც აფხაზეთს და მის ძირეულ მკვიდრ ქართველობას ეძღვნება. მიძღვნა მიძღვნად და, უნდა ვთქვა, რომ აფხაზეთზე ბევრი

წიგნი დაწერილა, ბევრი იწერება და ბევრიც დაიწერება, ღვთის წყალობით: მამებმა იბრძოლეს და ზედაც შეელეწნენ მტერს ჩვენი იმედით. ჩვენც ვიბრძვით და დღეს თუ მომხდურს შეველეწებით, სულ ერთია - გამარჯვებას ხვალ მაინც ჩვენი შვილები იზეიმებენ. ჰოდა, სანამ ვიბრძვით - იქამდე ვცოცხლობთ და ვქმნით.

რაკი ასეა, ბარემ აქვე იმასაც ვიტყვი, რომ სანამ ვცოცხლობთ, ვიბრძვით და ვქმნით, მუდამ ცოცხალია ის აფხაზეთი, რომელიც დედა-საქართველოს წიაღში 1993 წლის 27 სექტემბრამდე მუხლმაგრობდა, დღეს კი ვაჟასეულ იმ არწივს ჰგავს, ყვავ-ყორნები რომ დასევიან. მოგონებებსა და სიზმრებში ცოცხლობს იგი ზუსტად ისეთი, როგორიც ოდითგან იყო და იქნება, როდესაც დავუბრუნდებით. დაბრუნებით კი აუცილებლად დავუბრუნდებით, რადგანაც აფხაზეთი ერთიანი საქართველოს **შურობუმუ**, ანუ ის მიწა გახლავთ, რომელსაც ქართველთა სული ებმის მოგონებების ფესვებით.

სერგი საჯაიას ნოველები: „მურგვა“, „ღაზო“, „ქენჯნის თვითგვემაში გამოგლოვილი“ და „ჰაიკანუშა კოშკა“ სწორედ ის ფესვებია, ქართველობას რომ შურობუმუსთან აერთებს. მათ რომ წაიკითხავთ, არამარტო დაინახავთ, არამედ იგრძნობთ კიდევაც იმ აფხაზეთს, ენგურს გაღმა კანტი-კუნტად შერჩენილ აფსარებს რომ სანატრელად გახდომიათ დღეს. კაცმა რომ თქვას, აფხაზეთი სწორედ მათ დაკარგეს და არა ჩვენ: თვალს მოხუჭავს თუ არა, აფხაზეთის მკვიდრი ქართველი წამსვე შურობუმუში ინაცვლებს, აფსარმა კი რაღა ქნას?!.. ცხადში არყით გალეშილი რუსი სალდათების ხმამაღალი გინება არ ასვენებს და ძილში - თვისტომებისგან ნაწამები ქართველის ზმანება.

ასეა: აფხაზეთიდან მტრისგან ოტებულ ქართველობას იმ კუთხის სული იმიტომ გამოჰყვა, რომ მათ **ქართველურ შურობუმუსთან** კავშირი არ გაეწყვიტათ: **„ყოველთვის არ არის სულ ერთი, ამ მიწაზე თუ რომელ კუთხეში გექნება საფლავი!“** - ამგვარად ასრულებს ბატონი სერგი ნოველა „მურგვას“ და მეც, აწ უკვე მთლად საზღვარგარეთ მოქცეული

ერთ-ერთი უძველესი ქართული კუთხის მკვიდრთა საგულისხმო ჩვეულება მახსენდება: მიცვალებულს, ვისაც მემკვიდრე შორს ჰყავს, საკუთარ ეზოში კრძალავენ, რათა ქართული მიწა გადამთიელის ხელში არ ჩავარდეს, შორს წასული ქართველისთვის კი სამუდამოდ **შურობუმუდ** დარჩეს. ჰოდა, **სანამ შურობუმუ ანუ „სულის საბანი“ იარსებებს, ის ქართველი, სადაც გინდა იყოს, მუდამჟამს ქართველად დარჩება**.

ეს ყველაფერი სერგი საჯაიას ნოველათა არსია და, უშუალოდ ენას რაც შეეხება: მე ტყუილად არ მითქვამს, სიტყვით მხატვრობის ოსტატთაგანია-მეთქი. საერთოდაც მიმაჩნია, რომ მხატვრული ნაწარმოები მკითხველს გონებაში წარმოდგენილ კადრებად უნდა ჩარჩეს და ეს, ცხადია, ენის გარეშე ვერ მოხერხდება. სერგი საჯაიას ნაწარმოებთა ენა მრავლის დამტევი და მოქნილია: „...მაგრამ რაღაც ადამიანად ყოფნის ხაწას მართმევდნენ თითქოს“ - აქ სიტყვა **ხაწა** ფრაზის გასაღებია. ის მეგრულად „მაწვნის დედას“ ნიშნავს, თუმცაღა სამწიგნობრო ენაში გადმოტანით, ბატონი სერგი მას უფრო ამაღლებულ მნიშვნელობას ანიჭებს: **ადამიანად ყოფნის ხაწა** ხომ ისაა, რისთვისაც ზოგადად კაცი მოდის ამქვეყნად. სულ ერთი, პაწაწინა სიტყვაა, მაგრამ მრავლის დამტევი. თანაც, სამწიგნობრო ენაში გადმოტანით მთელი ქართველობისთვის ნაცნობი ხდება.

მეორე მხრივ, იმგვარი ზმნური ფორმებიც, როგორებიცაა, მაგალითად: „მომესხეულა“, „ჩაიკრიალოსნა“, ანდა კიდევ - მოქნილი ფრაზეოლოგიზმები: „სიცოცხლე ხანძრად მინ-თია გულში“, „ოდაბადის ქუდზეკაცობასთან ზურგით არ მდგარი“ და მისთანანი სიტყვას სულ სხვა, მხატვრულ სიმაღლეს აძლევს და გარდა იმისა, რომ უფრო გამოკვეთს სემანტიკას, სულისმიერ ცხადგრძნობათა გამომსახველადაც გვევლინება. სერგი საჯაიას ნოველებში კი უპირველესი სწორედ ეს გახლავთ. გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ მას წერის საკუთარი სტილი აქვს და მას ბუნებრივად ირგებს გულისნადების გადმოსაცემად.

აი, ამგვარად შეიძლება დახასიათდეს ბატონი სერგი საჯაიას მწერლობა და სახელდობრ, ის წიგნუკა, რომელიც მან მკითხველს ამჯერად წარუდგინა.

დაიბეჭდა წიგნში „სისხლად ამონახველი მწუხრისბჭობა
ახალნათოვზე“, თბილისი, 2021 წ.

წერილი ისრაელიდან

პატივცემულო, ბატონო სერგი!

მტკივა, მტკივა ძმებო! ყველაფერი მტკივა, - სული, გული, გვამი, სისხლი, ძოწის მძივი, ნატერფალი... აფხაზეთი მტკივა, სამაჩაბლო მტკივა... ტაო, კლარჯეთი, ლაზეთი... სოჭი მტკივა!..

გისურვებ ჯანმრთელ სიცოცხლეს. ბატონო სერგი, რომ თქვენი ბასრი ხმალივით მოქნეული სიტყვა მრავალ და მრავალ წელს უკაფავდეს გზას ჩვენს გაუბედურებულ სამშობლოს!..

ბატონო სერგი,

გამოცანად სდევს დღე-ღამეს,
ცხოვრების იწილ-ბიწილო
და მაინც ვნატრობ ერთ რამეს, -
სოხუმში შეგხვდე, გიხილო!

უღრმესი პატივისცემით, -
გიორგი ქართველიშვილი (ისრაელიდან)
08. 01. 2002 წ.

მკითხველისადმი

ზურაბ ქობალია - მწერალი

ყოველდღიურად *სამშობლოს მაჯისცემაზე ხელდადებულად მოფიქრალი კაცის აზრები, ასე შეიძლება, ეწოდოს ამ პატარა წიგნს, რომელიც ბატონმა სერგი საჯაიამ შესთავაზა მკითხველს.*

სამწუხაროდ, იგი დიდი ტირაჟით ვერ გამოდის გარკვეულ მიზეზთა (უფინანსობის) გამო, მაგრამ მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ სამზეოს იხილავს და თავად გაიკვლევს გზას ჭეშმარიტი მკითხველის გულისა და სულის ასაფორიაქებლად. იმათთან მივა, ვისაც ჯერ კიდევ უძგერს გული სამშობლოსთვის და, ავტორის მხარდახარ, ხმას ამოიღებს ქართველი ერის მილევადობის წინააღმდეგ.

ასე მგონია, ეს წიგნი სწორედ ის ღადარია, რომელიც მითაჟამიდან მუდამ იყო ქართველი კაცის სულში მინავლებული და საჭიროების ჟამს ნაცარს გადაიყრიდა და აალდებოდა სამშობლოს გაჭირვების დასალხენად, შესაცვლელად.

მართალია, დალხენილი დრო-ჟამი იშვიათობა იყო, თუ ისტორიას გადავავლებთ თვალს, მაგრამ ხომ იყო მაინც!..

იყო და იქნებას სურვილი ამოძრავებს ავტორს ამ წიგნის წერისას!.. სწორედაც რომ საგაკვეთილოდ წერს იგი ყოველდღიურად ამ წიგნს დღიურის ფორმატში... თუმცა, ბოლოს ხელს ჩაიქნევს და იტყვის, ***„ვწყვეტ ამ წიგნის წერას“****-ო, მაგრამ, საიმედოდ, ბოლო საწუხარ დღეს მაინც დაამატებს... იქნება ტკივილმა მაინც გააღვიძოს მიძინებული ერი, რომელიც გადასაშენებლად გაუხაზირებიათ მავანთ.*

ყოველდღიურად სამშობლოზე ფიქრი გაანდო ფურცელს და მერე საფიხვნოზე გამოიტანო ***„ინგირცმელედან მეამბოხე საფლავთა სახელით“,*** *ამას დიდი ქართველობა და დიდ-*

კაცობა სჭირდება. სწორედ ასეთ ადამიანთან გვაქვს საქმე ამ შემთხვევაში, რომელიც თავმდაბლობით გვამუნათებს, რომ ***„კორონავირუსის საიერიშო დღეებში მოცლილი ბერიკაცის ხელმიფათურებად და თავსმოხვეულ ფიქრებად“*** *გვაწვდის, რათა კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ ჩვენი მამულის, სამშობლოს, შურუბუმუს, ოდაბადე - დაბადონასა და სახელმწიფოებრიობის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე.*

განგაშის ზარის აჟღერებასა და დარისხებას ცდილობს ბატონი სერგი ყოველ თავის წიგნში, რომელიც უკვე 30-ს აჭარბებს. ყოველი სტრიქონი და სტრიქონებს შორისი სივრცეც სწორედ გაჟღენთილია სამშობლოს სიყვარულით, მასზე ზრუნვის მცდელობითა და სახელმწიფოებრივად აზროვნების მაგალითებითა და ნიმუშებით.

ავტორის გულისტკივილი მთლიან საქართველოსგან დროებით მოწყვეტილი ღვთისმშობლის წილხვედრი მამულებია, რომლებიც მავანთ ჯერ კიდევ ვერ გაუსიგრძეგანებიათ თუ რა დღეშია ჩავარდნილი სამშობლო ჩვენი, ვიღაცათათვის მხოლოდ „ეს ქვეყანას“ და „ამ ქვეყანას“ წარმოადგენს.

ბატონი სერგისთვის აფხაზეთი მარტო აფხაზეთი კი არაა, არამედ იგი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოა და ვერასდროს მოსწყდება დედასამშობლოს. ასევეა მისთვის სამაჩაბლო თუ სხვა ქართული ადგილ-მიდამოები, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით და დროებით „გასხვისქვეყნებულია“.

გვახსენებს ქართველობას, რომ ჩვენ ვართ ქრისტესმხედარი გიორგიანელები, რომლებთაც დიდი მისია გვაკისრია და ამ მისიის აღსასრულებლად უფალმა სწორედ ღვთისმშობლისწილხვდომილობა დაგვიდგინა.

იგი ილაშქრებს საქართველოში მოთარეშე ეთნოდივერსიულ და ეთნო-ფაბრიკაციული ინდუსტრიაში გამოინკუბატორებულ სიმრავლეთა წინააღმდეგ და ნიღბის ახევით ამხელს მათ სამშობლოს ღალატში, რომელთაც, პრინციპში, სამშობლო აღარც აქვთ, რადგანაც მათ უკვე გაყიდეს იგი.

იგი ასევე ილაშქრებს ლგბტ-ური თემის წინააღმდეგაც, რომლებიც, სწორედ რომ ლიბერალული ღირებულებებს ამოფარებულნი, ეთნოდივერსიულ საქმიანობას ეწევიან მტერთა სასიხარულოდ, მათივე დავალებებითა და მითითებებით.

ავტორისათვის და წესით ყოველი ქართველისათვის საწუკვარი და ღვთივსავედრებელი სამშობლო ფრიად გასაჭირშია, ვერ გაუყვიათ რამოდენიმე ქვეყნის მსტოვრებს და ყოველი მათგანი იმ ქვეყნისკენ მიგვაქანებს, რომლისგანაც ოცდაათი ვერცხლი მოჩხრიალებს მათთან. ამ გაწამაწიაში არის გაჩხერილი ჩვენი სამშობლო (იმათთვის რაღაც ამ, იმ, ეს „ქვეყნად" წოდებული).

ავტორის ასევე გულდაწყვეტილი წუხს, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია იდეოლოგია და არა აქვს ჩამოყალიბებული სტრატეგიული გეგმა ქვეყნის დეოკუპაციისა. ხელისუფლებაში და გინდა საზოგადოებაში ვერ მოიძებნება პიროვნება, რომელიც დასახავს მიზანს და დაწერს გეგმას თუ როგორ და რა გზებით შეიძლება, მოხდეს ოკუპირებული რეგიონების დაბრუნება და საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მოქცევა, კონსტიტუციური თუ სამართ-ლებრივი წესრიგის აღდგენა და შემდგომ ამისა, სახელმწიფოს მონოლითური მართვის მეთოდებისა და მექანიზმების შემუშავება, სადაც იზეიმებს ქართველთა გონითი განფენის სივრცე.

მოკლედ, ბევრი რომ არ გამიგრძელდეს, მკითხველი თავადვე გამოიტანს დასკვნებს იმ საჭირბოროტო საკითხებიდან, რომელსაც ავტორი სვამს სამშობლოს მესვეურთა წინაშე და მისი გადაჭრის გზებზეც მიუთითებს, თუ ვინმე გამოჩნდება ყურმგდები და შემსმენი.

აღარაფერს ვამბობ ამ წიგნის მაღალმხატვრულ და სიტყვაკაზმულ ღირებულებაზე, რომელსაც თავად ჩაწვდება მაღალგემოვნებიანი მკითხველი.

დაიბეჭდა წიგნში „საფიხვნო ინგირცმელედან მეამბოხე საფლავთა სახელით", თბილისი, 2021 წ.

ალალად დაწერილი წიგნი

თოლიგე და შურიგე ამ სიტყვებით მიმართვენ საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში, კერძოდ, სამეგრელოსა და აფხაზეთში, ერთუღელში შებმულნი. ამგვარი მიმართვა უფლის ხელდასმულობას ნიშნავს და ღვთის ნების აღსრულებას მეუღლეებს შორის უთიერთობაში.

თოლიგე - თვალის ჩინო და შურიგე - სულის საფიცარო, სულის ყებურში, ანუ სულის შუაცეცხლში გაატარა ბატონმა სერგი საჯაიამ და ისე მიუტანა მკითხველს თვალსაჩინო ქართველის, სულითხორცამდე სამშობლოზე შეყვარებულის, მისი მეუღლის, ქალბატონი ნანას სიცოცხლის ბოლო დღეების განცდები, **რომელიც მის ემოციებთან ერთად ნიმუშია იმისა თუ როგორ უნდა გიყვარდეს სამშობლო ერთმანეთის სიყვარულითა და პატივისცემით.**

დღიურის სახით, ლამის ყოველდღიურად ესათუთება მის მტკივნეულ სულს და მკითხველსაც თანაგრძნობას აღუძრავს, არა მხოლოდ ქალბატონი ნანას მიმართ, არამედ იმ სამშობლოს სიდუხჭირის გამო, რომლის სიმბოლურ სახესაც წარმოადგენს უმშვენიერესი ქალბატონი, ნამდვილი პატრიოტი და სამშობლოს სიყვარულს შეწირული, ნანა!..

ბევრი შეიძლება ითქვას ამ წიგნის მაღალმხატვრულ ღირებულებაზე და მის ორიგინალურობაზე, მაგრამ უმჯობესია, მკითხველმა თავად გაიკვლიოს გზა, ამ გულისტკივილით დაწერილ, სულის ფორიაქში.

არაფერს ვამბობ ავტორის სულისა და გულის ტკივილზე, რომელიც ყოველ სტრიქონში თან სდევს ამ საოცარ წიგნს.

იშვიათად მოიძებნება მსგავსი შეგრძნებით, ალალად დაწერილი წიგნი არა თუ ქართულ ლიტერატურაში, არამედ სხვა მასშტაბითაც.

ვფიქრობ, მკითხველი გაითავისებს ამ ფრიად საინტერესო და საინტერესოდ დაწერილ წიგნს და მე, როგორც რედაქტორი, გზას დავულოცავ მას ფართო მკითხველისაკენ.

სამწუხაროდ, მისი ტირაჟი, ალბათ დიდი ვერ იქნება გარკვეულ მიზეზთა გამო, მაგრამ დადგება დრო, რომ მისი მრავალტირაჟიანი გამოცემებიც დაამშვენებს წიგნის დახლებსა თუ თაროებს.

პატივისცემით, **ზურაბ ქობალია.**

დაიბეჭდა წიგნში „ჩემო თოლიგე, ასგზის შურიგე და სულის ყებურო, ნანა“, თბილისი, 2021 წ.

ღაღადი წმინდა საფლავთა სახელით

ჯუბა ღებელი - პოეტი

არ ვიცი, ზოგისთვის ქება შეიძლება, მაწყინარიც იყოს, მე კი პატარა ამბავი, რომელიც აქ მინდა მოგიყვეთ, ძალიან სასიამოვნო და ლამაზ მოგონებად მომყვება.

ადრეული შემოდგომის ერთ თბილ საღამოს, რუსთაველზე, ყოფილი კულტურის სამინისტროს შენობის წინ, გაჩერებაზე ვიდექი, ტელეფონის მესინჯერში ვიდეოზარი რომ შემოვიდა. თვალი მოვკარი თუ მომეჩვენა, არ ვიცი, ხაზზე ბატონი რეზო ამაშუკელი გახლდათ. ვიფიქრე - სად მე, სად ბატონი რეზო, ალბათ ხელი შეცდომით დაეჭირა თქო და ავტომატურად იმ წამსვე გავთიშე. ამასობაში ავტობუსი გაჩერდა და შევხტი. კარი ჯერ კიდევ არ იყო დაკეტილი, ისევ შემოვიდა ვიდეოზარი... მწვანე ავტობუსიდან უკანვე ჩამოვედი და ღილაკს ხელი დავაჭირე. „ალოც“ არ მქონდა ნათქვამი, ყურმილში ბატონი რეზოს ხმა რომ გაისმა

- ჯუბა ღებელი, ხო!..

- დიახ, დიახ, ბატონო რეზო!..

- ჩემო ჯუბა, ჩემო ჯუბა ღებელო...

მოკლედ, საუბრის დეტალებს აღარ დავაკონკრეტებ. ბატონი რეზო მეფერებოდა და ერთი თვის წინ გასულ დაბადების დღეს მილოცავდა. იცის ინტერნეტმა გამეორება და ეტყობა, ბატონ რეზოსაც „შეახსენა“.

რა თქმა უნდა, მთელი ის საღამო და მომდევნო დღეები რაღაცნაირად ბედნიერი ვიყავი. პატარა საქმე არაა, დიდ პოეტს გაახსენდე, ყველას როდი აქვს ასეთი პატივი?..

მკითხველი იტყვის, რა შუაშია ამ წიგნთან რეზო ამაშუკელი და ეს ამბავიო?..

შუაშია და უფრო მეტიც - თავშია!

ახლა მე, ჩემზე უფროს ადამიანზე, ჩემთვის ძალზე დიდად პატივსაცემ, გამორჩეულ მწერალსა და პუბლიცისტზე, აფხაზეთის ომში კალმითა და იარაღით მებრძოლ, საყოველთაოდ ცნობილ პიროვნებასა და საზოგადო მოღვაწეზე ორიოდე სიტყვის თქმა მარგუნა ბედმა.

ეს დიდებული პიროვნება ბატონი სერგი საჯაიაა!

სერგი საჯაია 1946 წლის 14 ნოემბერს აფხაზეთში, სოხუმთან, ისტორიულ კომან-აკაფის მიდამოებში დაიბადა, საიდანაც დაიწყო საქართველოს გაერთიანება ბაგრატ III-მ, სადაც დასვენებული იყო წმინდა იოანე ოქროპირი და წმინდა იოანე ნათლისმცემლის თავი პატიოსანი.

დაამთავრა ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. სტუდენტობისას ხელმძღვანელობდა დიდი გალაკტიონის მიერ ქართული ლიტერატურის კათედრასთან დაარსებულ სტუდენტთა შემოქმედებით წრეს - *„ზღვა ახმაურდა“.*

იყო სოხუმის რადიოს რედაქტორი, სკოლის დირექტორი.

1960-იანი წლებიდან ჩართულია ეროვნულ-საგანმანათლებო მოძრაობაში.

1992-93 წლებში იყო საქართველოს ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის წევრი, 1993 წლის შემოდგომაზე ქ. ზუგდიდში გახლდათ აფხაზეთის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, უბედურების ზონიდან გამოჰყავდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) გენოციდისა და ეთნიკური წმენდის შემდეგ გადარჩენილი უმწეო მოსახლეობა.

ასევე იყო მერაბ კოსტავას სახელობის საქართველოს მოსახლეობის განსახლებისა და საადგილმამულო ფონდის წარმომადგენელი ცხუმ-აფხაზეთში.

გახლავთ უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი.

ასევე არის ნიკო ნიკოლაძის, გიორგი შარვაშიძისა და ზვიად გამსახურდიას პრემიების ლაურეატი.

დიახ, ასეთ ადამიანზე, ასეთი პიროვნების პუბლიცისტურ წერილებზე მარგუნა ბედმა ორიოდე სიტყვის დაწერა და, რა თქმა უნდა, ეს ჩემთვის დიდი პატივია!

ჩვენი პირველი შეხვედრა 2013 წლის გაზაფხულზე, მწერალთა ეროვნული აკადემიის ოფისში შედგა. მე მაშინ ამ აკადემიის აღმასრულებელი დირექტორი გახლდით.

პირველივე ნახვისთანავე მიიპყრო ყურადღება თავისი აღნაგობით, მჭერმეტყველებითა და საუბრის მანერით. ეს ლამაზი, ახოვანი კაცი უდავოდ ცნობილი პიროვნების შთაბეჭდილებას ტოვებდა და ასეც იყო. ნებისმიერი შემხვედრისთვის ის ცნობილი პიროვნებაა!

ბევრ ქარტეხილს გადაუვლია ბატონი სერგის მხრებზე, მაგრამ დღემდე თავისი კაცობითა და სიმართლით მოსულს, თავისი ქვეყნისა და ხალხის სიყვარულის გარდა არც რამ უკეთებია და არც ჰქონია სხვა რამის კეთების სურვილი.

მისი პუბლიცისტური წერილები, რომლებსაც დარწმუნებული ვარ, სიამოვნებით გაეცნობა მკითხველი, ისე დოკუმენტურად და ამავე დროს ლიტერატურული სიტყვაკაზმულობითაა დაწერილი, დეტექტიური რომანივით ერთი ამოსუნთქვით იკითხება.

მე არ შევუდგები თითოეული წერილის განხილვას, არც იქ მოყვანილი ფაქტებისა და კონკრეტულ (მათ შორის ჩემთვის პატივსაცემ) პიროვნებების შეფასება-დახასიათებას, ერთს კი ვიტყვი, რომ ამ წიგნმა კიდევ ერთხელ დამაბრუნა იმ ავადსახსენებელ წლებში, 50-70-იანი და უმძიმესი 90-იანები რომ ჰქვია.

ამ წიგნმა კიდევ ერთხელ გამახსენა ილიას „ბედნიერი ერი“, აკაკის „ვედრება“, თავაწყვეტილი გაშმაგებით მოკლული ზვიად გამსახურდია, გულარხეინი საზოგადოების თვალწინ ჩაცხრილული გურამ შარაძე, ძმათამკვლელი ომის შესაჩერებლად ცეცხლწაკიდებული გია აბესაძე, ჭუბერის უღელტეხილზე მკერდზე ჩვილ მიყინული დედები, გზადაგზა გაყინული ქალები და ბავშვები, გადარჩენილთა გასაძარ-

ცვავად დარაზმული „ადამიანები“ და ღვთისმშობლის წილ-ხვედრილი ქვეყნის ცოდვის ალში ტრიალი.

ამ წერილებმა კიდევ ერთხელ დამაფიქრეს ადამიანთა რაობაზე, ფულზე სულგაყიდულთა მიზნებზე და ღალატზე, რომელიც საუკუნეების მანძილზე ტრიალებს ჩემი ქვეყნის მიწაზე და ზეცაში.

ბატონმა სერგიმ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვა, ერის ყოფნა არ ყოფნის ფონზე, წმინდა საფლავთა სახელით ივალდებულა ძილქუშისკენ მიდრეკილი საზოგადოების ყურდახშობას ჩაუკოდორღრიალოს წმინდა წერილის საგაკვეთილო სწავლება: „ყოველთა გეტყვით, მღვიძარე იყვენით!“

რამდენთაგან რამდენი ასეთი შეგონება გვსმენია, მაგრამ ისე გაგვიტარებია ძილღვიძილში, ვერც მივმხვდარვართ, რომ *„ევრო-ატლანტიკური რასიზმი, თურქული „ისტორიული მეგობრობა“, კრემლიდანური ველიკოდერჟავნიკობა, აზერბაიჯანული მოთარეშეობა და არმენული ჩაჯი-ბგირება დღენიადაგ ცდილობს ჩვენი სამშობლო რეგიონალურ ფეხსალაგად მოიაზროს.“*

დიახ, არასოდეს გვესმოდა მამულზე მოფიქრალი ადამიანებისა და მხოლოდ მაშინ ვხვდებოდით მათ სიმართლეს, როცა თავად ისინი უკვე ჯვარზე გვყავდა გაკრული.

ალბათ, არც ბატონ სერგის დავუჯერებთ ბევრ რამეს - კაცს, რომელსაც ევალებოდა და სიზუსტით იცის, ვინ, სად, როდის და ვის მიერ, რომელ ბუჩქთან გაიძარცვა სახელისა და გვარების, დღეებისა და თარიღების მიხედვით;

კაცს, რომელიც *„მომმისგან ენით უთქმელ ვერაგობათა ამოკივლებას ეკაშხალება დღემდე და რომელმაც ზვიადის დავალებით, თანამოაზრეებთან ერთად, შეძლო არ განხორციელებულიყო საუკუნის ღალატი - ენგურის ზემო და ქვემო ხეობათა შეხლა“;*

კაცს, რომელიც ლიბოდ ამოხერგილ ქვასავით ცდილობს ყველა მხარეში გამოჩორკნილ ვათანძარათა მიერ მკერდშენგრეული ქვეყნისთვის საკონტროლო ტყვიის დახლა აარიდოს საქართველოს!

ერთეულები ქმნიან ისტორიას, ერთეულები ეწირებიან იდეებს. ხელისუფლება კი თითქოს საიდანღაც ნაკარნახევი პროტოკოლით მართავს ქვეყანას.

ხელისუფლებისთვის თითქოს არაფერია ქვეყნის ისტორიული წარსული, ერის გენეტიკური კოდი და ზნეობრივი კატეგორიები და ამ ყველაფრის დასაცავად ისევ იმ უბრალო ხალხს და ადამიანთა ჯგუფებს უწევს ბრძოლა, რომლებმაც ის აქციეს ხელისუფლად.

ამიტომაა, რომ 30 წლის დამოუკიდებელ სახელმწიფოში ყველა გარყვნილების აღსაკვეთად საკანონმდებლო ბაზა კი არ მუშავდება, დემონსტრაციებისა და მიტინგების აუცილებლობა დგება დღის წესრიგში. ამიტომაა ყველაზე დიდი სიწმინდე - დედა-ენა, დღემდე რომ ვერ დავაბრუნეთ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ამიტომაა „ცხრაკლიტულში ჩაპატიმრებული საკაცობრიო მნიშვნელობის ქართული მწერლობა“, რომელსაც ჯერ პატივი აჰყარეს და მერე მამულიშვილთა მიერ უანგაროდ ნაჩუქარი სასახლე ჩამოართვეს.

საქართველო კი ლამისაა *„რუსეთსა და აშშ-ს მიერ გადანაწილებულ სივრცეებში მათ საეთნოდივერსიო ქარხანათა სადისლოკაციო პოლიგონად აქციონ!“*

ასე რომ არ იყოს, არათუ მოხსნიდნენ ქვეყნის ხიდებსა და ბილ-ბორდებზე განთავსებულ წარწერებს - „გვახსოვდეს აფხაზეთი!“, „სოხუმი ჩვენი ტკივილია!“, არამედ სკოლებისა და საბავშვო ბაღების შესასვლელებზე დიდი ასოებით წაწერდნენ, რათა იცოდეს მომავალმა თაობამ ამ სიტყვების მნიშვნელობა.

მაგრამ, რატომღაც 30 წლის „დამოუკიდებელი“ (როგორ არ მინდა ამ სიტყვის ბრჭყალებში ჩასმა) საქართველოს ყველა ჩვენს („ჩვენს“ ხაზს ვუსვამ) მიერ არჩეული ხელისუფალი თითქოს შეგნებულად ისტორიული მეხსიერების ატროფიაზე ფიქრობს და ამით წითელ კოჭს უგორებს ზემოთხსენებული პროტოკოლის ავტორებს.

ამ დროს დასაღუპად განწირული ჩვენი სამშობლო უფსკრულისკენ მიექანება და თითო-ოროლას გარდა, კაცი, პატრონი არ ჩანს, არც გადამრჩენი და არც ხმის ამომღები.

ერთ-ერთ ასეთ „მღაღადებლად“ მიმაჩნია ბატონი *სერგი საჯაია,* რომელსაც, ისევ მისივე სიტყვებით ვიტყვი „პირმოკუმვის“ ნაცვლად საკირის ცეცხლზე საკუთარი სისხლი ეორთქლება“ და რომლის „ეროვნული კოშკის მსოფლმხედველობა“, ცალსახად შეიძლება ითქვას, ჩვენი აწმყოსა და მომავლის საქვაკუთხედო ეპისტოლეა.

დაიბეჭდა წიგნში „რათა ტკივილი გაგიზიაროთ“, თბილისი, 2020 წ.



შეხმიანება მეგობარს

მურმან ხურცილავა,
მწერალი, გიორგი შერვაშიძის სახელობის პრემიის ლაურეატი

სერგი საჯაიამ შემოქმედებითი საქმიანობა ლექსებით დაიწყო. კარგად მახსოვს მისი პირველი მყარი ნაბიჯები. ადრიდანვე ვიცნობდი მას, როგორც განათლების დარგის წარმატებულ მოღვაწეს, ეროვნულ მოძრაობაში აქტიურად ჩართულ პიროვნებას და, ბოლოს, აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის დროს, სამართლიანობისათვის იარაღასხმულ მებრძოლს. ჩვენს ურთიერთობაში ხანგრძლივი მდუმარების შემდგომ (რასაც ობიექტური მიზეზები ჰქონდა) ჩემთვის მოულოდნელი და ერთგვარი აღმოჩენაც იყო, რომ ის ჩამოყალიბებულა, როგორც ნიჭიერი პუბლიცისტი, მწერალი, მრავალი წიგნის ავტორი, რამდენიმე პრემიის ლაურეატი და... ისეთივე ხმალშემართული - ოღონდ უკვე სხვა სფეროში (სახელმწიფოებრივი გარჯა; შეუპოვრობა ისტორიული ჭეშმარიტების დასადგენად; უშეღავათობა უკეთურობის მიმართ და ა. შ.). წავიკითხე მისი პოლიტიკურ თემაზე დაწერილი წიგნები, მათში უსამართლობას შეჭიდებული მარტოკაცი დავინახე და თან ამ შრომების შექმნაში დახარჯული დრო, ძალა, მოწადინება, შემართება დამენანა. ჯობდა ეს ყოველივე რაიმე მხატვრულ ტილოს მოხმარებოდა (რისი უნარიც ავტორს უეჭველად შესწევს), რადგან წიგნთა პერსონაჟები (თუ პერსონები) თავს დღესაც არხეინად გრძნობენ, თავისუფლად აგრძელებენ ჩვეულ საქმეს, თითქოს არც არაფერი შეხებიათ, მათი წარმომჩენი კი დარჩა კანონიერების აღსრულების მომლოდინე. თუმცა, აქვე დავძენ, ჭეშმარიტებას ერთი უტყუარი ჩვევა აქვს: ათასი ჭირ-ვარამის გამოვლის, გვემისა და თუნდაც ჩაქოლვის მცდელობის მიუხედავად, სადმე თავს მაინც წამოყოფს და ავისმ-

ქნელებს წინ გადაუხტება. ასე რომ, სათქმელმა მაინც მიაღწია მიზანს.

წინამდებარე პატარა წიგნში (მწერალი მას მოხდენილად „წიგნუკას“ უწოდებს) წარმოდგენილი ნოველები შინაარსით და ჟანრობრივადაც ახლებურია - ეს არის ნოველისა და ნარკვევის, მხატვრული ნააზრევისა და სინამდვილის ნაზავი. ოთხ ნაწარმოებს ერთი სატკივარი და სევდა-ნაღველი აერთიანებს, გამოწვეული მშობლიური გარემოს დაკარგვით, ახლობლის (ადამიანის თუ ცხოველის) დაღუპვით. მათში ერთი სიუჟეტური ხაზიც კი შეინიშნება: პირველ ნოველაში („მურგვა“) ძაღლის მკვლელი არ ჩანს, ის ბოლო ნოველაში („ჰაიკანუშა კოშკა“) გამოჩნდება (გამოდის, მურგვას მკვლელი ხაჩიკი („ჰაიკანუშ კოშკადან“) ყოფილა! შეიძლებოდა ამის აღნიშვნა, კვანძის ერთგვარი გახსნა იქნებოდა. იქნებ, ამის გარკვევას მკითხველს ანდობს? ესეც შეიძლება). ვფიქრობ, ეს შემთხვევითი არ არის, მე ის თავისებურ მხატვრულ ხერხად მივიჩნიე... მურგვას სიკვდილით მთხრობელს (ანუ მთავარ გმირს) ცხოვრების შინაარსი შეერყა: **„ის გახდა ჩემი ტკივილების თანაზიარი, ჩემი ობლობისა და მარტოკაცობის მეიავნანე, ფიქრების ამძრავი ღვედი, სიკეთისკენ წამქეზებელი“, ის „მომემშობლიურა, თითქოსდა გამისისხლითნათესავდა, შემომისახლისკაცდა...“** აი, ასეთი სულიერი მეგობარი ვერაგულად მოუკლეს. მთხრობელი მტერს სახლ-კარის გადაწვას პატიობს, მაგრამ არის ისეთი რამ, რაც **„არ იპატიება. ესაა ჭიშკართან ძაღლის მოკვლა“**... ეს უფლის მიერ დადგენილი წესიდან განდგომას, ადამიანის დაცემასა და განადგურებას ნიშნავს.

სულისშემძვრელი და სევდისმომგვრელია „ღაზო“. დაკბენილმა ღაზომ უკანასკნელად აწოვა ძუძუ თავის ნაშიერთ და სულიც დალია... **„ვიბღავლე, მაგრამ ვაღიარებ, ეს არ გახლდათ მარტო ღაზოს შეცხადება - დავტიროდი ჩემს მარტოკაცობას, ოდაბადის გასხვისებას, ძვირფას საფლავებს..., ჩემი ერის მილევადობას“**. ჭირს, აუღელვებლად წაიკითხო ეს სტრიქონები.

სერგი საჯაიამ გამოამჟღავნა მწერლისთვის შესაშური თვისება: მან გამოიმუშავა საკუთარი სტილი, ავტორის გამოცნობა ადვილია სახელისა და გვარის მიუწერლადაც კი. მწერალი სიტყვათშემოქმედების იშვიათი ნიჭით გამოირჩევა. ეს ეხება არსებით სახელსაც და მისგან ნაწარმოებ ზმნასაც. ამათგან ზოგი შეიძლება, ნაკლებად ზუსტი და მორგებული იყოს, მაგრამ არა უშავს: გუთანს ერთგულად ჩაჭიდებულ გამოცდილ მხვნელს კვალი განზე თუ გაექცა, მას მალევე თავად მოუვლის... თუკი ათი ახალი სიტყვიდან ერთი მაინც შემორჩა ქართულ ლიტერატურას, ეს გამარჯვება იქნება.

ესეც უნდა ვთქვა: სერგი საჯაიას თამამად (თანაც - ზომიერად) შემოაქვს ქართულში მეგრული სიტყვები, რაც ჩემი აზრით, ხელს უწყობს ქართული სალიტერატურო ენის განვითარებას და გამდიდრებას.

წიგნში შესული ნოველები ადრე დაიბეჭდა პერიოდულ პრესაში. ასე ერთად შეკრული კი პირველად გამოდის. და, იმედია, მკითხველი გულთბილად მიიღებს.

დაიბეჭდა წიგნში „სისხლად ამონახველი მწუხრისბჭობანი
ახალნათოვზე“, თბილისი, 2021 წ.

ზოგიერთი მხარდამჭერი, გამამხნევებელი და მეცნიერულად საყურადღებო გამოხმაურება

* * *

ძვირფასო ბატონო სერგი,
მიიღეთ ჩემი უდიდესი პატივისცემა და სიყვარული.
პროფესორი: მანანა ტაბიძე-თურქია
4.07.2018 წელი.

* * *

უდიდესი მადლობა ბატონ სერგის, დიდ ქართველს და საუკეთესო ადამიანს.
სიყვარულით,
მანანა ტაბიძე-თურქია
2018-12-18 16:33

* * *

ჩემო ძვირფასო ბატონო სერგი,
გულდასმით (და არა ერთხელ) წავიკითხე თქვენი შესანიშნავი წერილი.
მიიღეთ ჩემი აღტაცება, პატივისცემა და მადლობა.
სიყვარულით,
მანანა ტაბიძე-თურქია
15.04.2019 წელი.

* * *

ამონარიდი პროფესორ, ტარიელ ფუტკარაძის წიგნიდან...

... ტ. ფუტკარაძისა და ე. დადიანის მიერ მომზადებულია დამხმარე სასკოლო სახელმძღვანელო **„ქართველური ენობრივი სამყარო“,** რომლის პირველ ნაწილში აღწერილია ქართველური ქვესისტემების გავრცელების არეალი და ცალკეული ქართველური დიალექტების საზღვრები (რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეს, გაიაზროს ქართველი ეთნოსის თუ

ცალკეული ქართველური თემების საცხოვრისთა საზღვრები). აღწერას თან ერთვის შესაბამისი რუკები. წიგნის მეორე ნაწილი ეთმობა ადგილობრივი მეტყველების ლექსიკისა თუ თავისებურებების შესწავლას - საგანგებო კითხვარების საფუძველზე მოსწავლეთა მიერ დიალექტებისათვის დამახასიათებელი ლექსიკისა თუ თავისებურებების აღნუსხვას. ამგვარი მიდგომა ხელს შეუწყობს **როგორც ადგილობრივი რაგადის** (მეტყველების, დიალექტის) შენარჩუნებას, ასევე, მრავალსაუკუნოვანი ერთიანი ქართული (ქართველური) სამწიგნობრო ენის გამდიდრებას ქართველურ ქვესისტემებში შემონახული ლექსიკით. ამ ასპექტით ჩვენთვის მაორიენტირებელი თვალსაზრისი გამოთქვა დიდმა ქართველმა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ.

რაგადი ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში გამოიყენა ბ-მა სერგი საჯაიამ. შესაძლებელია ამ ქართველური სიტყვა-ფორმის ტერმინად დამკვიდრება; შდრ.: სულხან-საბასთან, ასევე, მეგრულ და სვანურ ქვესისტემაში **რაგადი** ნიშნავს „მეტყველებას“. (ტარიელ ფუტკარაძე, „ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2019 წ. გვ.165).

* * *

... ერთიანი ქართული (ქართველური) ეროვნული ცნობიერებისა და ზოგად ქართული სამწიგნობრო ენის დაცვის, განვითარების მიმართულებით იღვწოდა და იღვწის კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიების მრწამსის თანაზიარი ბევრი სხვა **ღირსეული პიროვნება**, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმე პირს დავასახელებ (მათთან მე წლების მანძილზე მაქვს ურთიერთობა): ნოდარ ჯალაღონია, ნომადი ბართაია, ზურაბ თორია, ვალტერ შურღაია, ედემ კვირტია, რენე კალანდია, სერგი საჯაია, ველოდი მირცხულავა, ჯემალ შონია, ელგუჯა მარღია, ლაშა გვასალია (ტარიელ ფუტკარაძე, „ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2019 წ. გვ.168).

* * *

ამონარიდი მწერალ რევაზ კვერენჩხილაძის წიგნიდან „ბრალს ვდებთ!“ (თბილისი, "უნივერსალი", 2019 წ. გვ. 66):

... ჩვენ შემდეგაც ვუშვებდით შეცდომებს: იმაზეც ხომ უნდა ეფიქრათ საგარეო საქმეთა სამინისტროში დიპლომატებს, პოლიტიკოსებსაც, იურისტებსაც როგორ წარგვედგინა საქართველოს ეს კუთხე მსოფლიოსათვის, თუკი ეს ბატონმა სერგი საჯაიამ, აფხაზეთის მკვიდრმა, იცოდა („ლს“, 2015. #29), ჩვენი სახელმწიფოს ხემძღვანელები, დიპლომატები და ა.შ. რატომ ვერ მიხვდნენ, ვთქვათ, ასე გაგვეცნო ის კუთხე მსოფლიოსთვის: „ჩრდილო-დასავლეთი საქართველო (აფხაზეთი)" - მსოფლიო მიხვდებოდა, რომ ეს არის საქართველო, საქართველოს ნაწილი და უკანონოა მისი საქართველოდან მოწყვეტა.

თორემ, ვიმეორებ, ვერ გაიგო დასავლეთმა - რატომ გაურბის ქართველი ქართველს, თანაც მიწიანად, ან რა უფლება აქვს საქართველოს მიწაზე მცხოვრებ აფსუას ეს მიწა გამოყოს საქართველოდან....

(ეს ამონარიდი ასევე შევიდა ბატონი რევაზის ახალ წიგნში „სამშობლო საფრთხეშია“, თბილისი, 2020 წ. გვ.71, რედაქტორი).

* * *

...როგორ შემიძლია მადლიერებით არ მოვიხსენიო ის ადამიანები, რომელნიც მამხნევებდნენ და მაქეზებდნენ ჩემი კვლევა-ძიებისას, მეხმარებოდნენ, ვისაც რით შეეძლო..

უკვე მოხსენიებულთა გარდა ესენი იყვნენ:

ა) მწერლები, რომელთა შეფასება (რამდენადმე გადაჭარბებულიც) ჩემთვის მეტად ძვირფასია: ილია ბარამიძე, გურამ გეგეშიძე, ლევან მალაზონია, ჯარჯი ფხოველი, თამაზ ჭილაძე, ვახტანგ ჯავახაძე:

მეორე მხრივ: ნოდარ ბაქრაძე, ჯანრი გოგეშვილი, დილარ ივარდავა, იური კახნიაშვილი, მთვარისა კერესელიძე, მანანა კვაჭანტირაძე, შალვა საბაშვილი, **სერგი საჯაია,** ბადრი სვანი-

ძე, თენგიზ სვანიძე, იკა ქადაგიძე, ნელი ჩალაური, თემურ ცერცვაძე, ავთანდილ ხარაიშვილი (რევაზ კვერენჩხილაძე, „ჩანაწერები ლიტერატურის არქივიდან“, თბილისი, "უნივერსალი", 2018 წ. გვ. 549):

* * *

*ნაწყვეტი პროფესორ **ნომადი ბართაიას** რეცენზიიდან პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის ახალ წიგნზე:*

200 წლის წინ შემუშავდა რუსული იმპერიული გეგმა ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის დაშლისა და იგი პერიოდულად აქტიურდება. გააქტიურდა იგი გასული საუკუნის 20-იან წლებში, იმდენად, რომ წამოვიდა მოთხოვნა სამეგრელოს ავტონომიის, შეიქმნა მეგრული ანბანი, მეგრულად დაიწყო საქმის წარმოება და სწავლა დაწყებით კლასებში, გაზეთის გამოცემა... და აი, აქტიურდება დღესაც, იმ დონეზე, რომ მეგრულად (ასევე სვანურად) ბიბლიური წიგნებიც კი ითარგმნება; ისევე გაჩნდა მოთხოვნა სამეგრელოს ავტონომიის, მეგრულისა და სვანურის რეგიონულ ენად გამოცხადებისა; ჩვენს თვალწინ დაიწყეს მეგრული სამწიგნობრო ენის შექმნა(რითაც მეგრელებს, სვანებს უუცხოებენ მრავალსაუკუნოვან სამწიგნობრო კულტურას-ქართულ კულტურას) და ა.შ.

2019 წლის 12 აპრილის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველო-ში“ გამოქვეყნდა სერგი (გიორგი) საჯაიას ღია წერილი, რომლის ადრესატები ბრძანდებიან საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მე-2, საქართველოს პარლამენტის თავჯდომარე ირაკლი კობახიძე. მიმართვის ასლი გადაეგზავნათ: საქართველოს პრემიერ მინისტრს მამუკა ბახტაძეს, საქართველოს ენის დეპარტამენტის თავმჯდომარეს გიორგი ალიბეგაშვილს და საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარეს თემურ ჩალაბაშვილს.

წერილი ეხება 2019 წლის 29 მარტს თბილისში, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ თაოსნობით გამართულ ყოველთა ქართველთა წარმომადგენლობით კრებას, რომელმაც განიხილა ამ აკადემიის წევრის, მწერალ სერგი (გიორგი) საჯაიას მოხსენება **"რუსეთის იმპერიის ეთნოფაბრიკაციული დივერსიების ახალი ტალღის შესახებ სამეგრელოში".**

აღნიშნული განხილვა ფაქტობრივად აღმოჩნდა 1925 წელს სამეგრელოდან გამოსულ მოღვაწეთა პირველი თავყრილობის გაგრძელება (1925 წელს თბილისში, რუსთაველის თეატრში თედო სახოკიას თავმჯდომარეობით ჩატარებულმა კრებამ დაგმო სხვა ქართველთაგან მეგრელთა ენობრივად გამიჯვნის მცდელობა).

კრების მონაწილეებმა განაცხადეს, რომ რამდენიმე თვითმარქვიას, რომლებიც შეიკრიბნენ 2019 წლის 24 თებერვალს ქ. ზუგდიდში, უფლება არა აქვს, ისაუბროს სამეგრელის სახელით; ისინი დაიქირავა რუსეთის იმპერიამ.

დიახ, საუკუნის მერე ისევ გააქტიურდა რუსული იმპერიული გეგმა, რომლის საბოლოო მიზანია არა მეგრულისა და სვანურის გადარჩენა, არამედ, თავის მეგრულ-სვანურიანად, ქართველი ერის გადაშენება (გაზეთი „უქიმერიონი“ # 4, 2019 წ.)

თვითმოძიებითი წამგაელვებანი ყებურთან ჩათვლემილი 75 წლის ბერიკაცის ძილბურანიდან...

სერგი (გიორგი) საჯაია

მერე თეთრმა სიჩუმემ ის იმედი წაიღო
ტერენტი გრანელი

მოგონებები, ფიქრი და, რაც მთავარია, აქედან გამომდინარე უმცდარი დასკვნა, კაცად დარჩენის უპირატესი საშუალებაა.

სწორედ ამიტომ, ასეთ სულისკვეთებას ხიშტით ერაზმება საეროვნულოდ ან საკაცობრიობოდ კი არა, ნომენკლატურულად, ვიწრო სექტანტური მომხმარებლობით „განათლებული“ **თაობა, რომლის საზოგადოებრივი მდგენელი ჯერ არაა ზნეობრივი მოცემულობა.**

ამ ვითარებაში, მე, როგორც წინამდებარე ფიქრის შინაარსი, რთული, ავმოსურნედ ჩასაფრებულ ყოველდღიურობათა წიაღში ავკარგიანი გამოდარებების შედეგი ვარ.

ჩემი ცხოვრების სვლაგეზი სახუნდარების ჩაწალდვას მოუნდა ძირითადად.

... სტუდენტობისას ერთი მეგობარი მყავდა - თამაზ ახალაია. 1965 წლის ივლისის ერთ თაკარა დღეს სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მისაღებ კომისიაში საბუთებს ვაბარებდი. საკმაოდ გრძელი რიგის შუა წელში ვიღაც თმაგაბურძგნულმა ბიჭმა საბუთების საქაღალდე მაღლა ასწია და რიგში მდგომებს, რომელთა შორის ქართველების გარდა სხვა ეროვნებისანიც იყვნენ, მიახარა, - ჩემს ლექსებს გაგაცნობთო და რამოდენიმე მართლა წაიკითხა, რომელთაგან ერთი განსაკუთრებით დამამახსოვრდა, **„ველი შენს ბარათს, იმედის დარად, იქნებ მივიღო მასთან სურათიც, გამიხარდება, მექნება ფარად ჩემი სი-**

ცოცხლის დასასრულამდი!..“ ასე გავიცანი იგი, პოეტი, მიუსაფარი, ადამიანად გარდასახული ტკივილი, სამშობლოს ჩაფესვებული, უღალატო, ღვთისმოშიში, ნიჭის მფრქვეველი...

ჰმ, სურათიო! მქონდა მასთან გადაღებულიც, იგი სოხუმის გაზეთშიც (იმ დროს „საბჭოთა აფხაზეთი“ ერქვა) დაიბეჭდა ჩვენზე, ახალგაზრდა შემოქმედებზე მომზადებულ საინფორმაციო გვერდზე.

ყოველთვის მიყვარდა სურათების გადაღებაც და ალბომების თვალიერებაც. სამწუხაროდ, ჩემი სურათები და გემოვნებით შერჩეული ალბომები სახლთან ერთად დაიწვა 1993 წლის 20 სექტემბერს, როცა მუხანათმა მომხდურებმა ხანძარს მისცეს სახლიც და ნაჯაფი ლასკარიც. არაფერი გადარჩენილა.

ცხადია, ეს ჩემი საპირადო უბედურებაა, რასაც მოეწყალუხვა საყოველთაო სახალხო აღმგველობაც: ჩვენს წინააღმდეგ მიმდინარეობს წამგაუცდენელი ომი პოლიტიკური ქაოსით, ზნეობრივი გაუკუღმართებითა და საგანმანათლებლო გადამშენებლობით.

რა საკვირველია, ასეთი საქუდზეკაცო განგაშის დროს მრავალი თავსატეხი გითრევს თავის კბილანებში. მეც შორიდან ვერ ვუყურებდი საყოველთაო პარტახს - ყოფითს, სულიერს, ცნობიერს...

... და მაინც, გამოვიზოგე დრო და ამის მიუხედავად, აქ, დევნილობაში, ნათესავებთან მოვიძიე ოდაბადეში გადაღებული სურათები და განვაახლე სასწაულად გადარჩენილი ზოგიერთი მათგანი. ასე აღვადგინე ჩემი ცხოვრების წამგაელვებები.

აგერ, ახლაც, წინამდებარედ, სურათზე 1955 წლის აღდგომამ შემომააფხაზეთა თავი. ვუყურებ ჩემს ბავშვობას, სახეტკივილიანს, ხელმოკლედ ჩაცმულს, გულამომჯდარს, ცნობისმოყვარეს, მარტოს... მოვეფერე. სულიდან ეკალი ამოვაძრე თითქოს: ნუ აირევი, ბიჭო, კაცი იყავი, ვებორჯა, ვაკოცია, წიე, - ისეთი გულწრფელობით ვუთხარი, თითქოს

მინდოდა, შემოვჯავშნოდი მის ობოლსულობასა თუ აკად ყოფნას.

სახეზე გარკვევით ეწერა, ხოხბის ის ლაპი იყო, აფრენის მცდელობისას რომ ესროლეს დამიზნებით.

<u>სურათი მეთქი, ჭკვიანი ბავშვის!.. ვუყურებდი და მეგონა, საცაა მარტოსულობისგან დაიხსნის თქვა თავს, სივრცეს ხარბად იცნობიერებდა და იერთსხეულებდა.</u>

რა იცოდა მან, ჯერ კიდევ მართლა წიემ, რომ **თავისუფლების კამარა დასჯადი საქმეა.** ყოველთვის არაა მაბედნიერებელი ის, - ფიქრი რომ კაცად ყოფნას განაპირობებს. როდესაც ზედმეტად ბევრი იცი, სახიფათოა... **ამასთან ერთად, სიბრძნეში უშქარი მწუხარებაცაა, სიბრძნე ცხოვრების ცალუღია, ძალიან მძიმედ საზიდი.**

იმასაც ხვდებით, რა თქმა უნდა, მან ჯერ კიდევ სერგიუკამ, არ იცის, რომ მოუწევს ბრძოლა საქართველოს თავისუფლებისათვის და იწვნევს თავზარდაცემას იმის გამო, როცა საკუთარი თვალით დაინახავს თუ როგორ **აბედნიერებს საზოგადოებას (არ მინდა ვთქვა - ქართველობას) ყოფითი მონობა, პოლიტიკური მონობა, ცნობიერი მონობა!..**

არა, იგი ვერც დაისიზმრებდა, რომ ვათანძარები მის დახვრეტას მართლა დააპირებდნენ 1992-93 წლებში და იცით რატომ? - რად ერთგულობსო სამშობლოს ასე წამგაუცდენლად!..

იმაშიც გეთანხმებით, მან არც ის იცის ამ წუთში, ადამიანს რომ სჭირდება, **ვინმეს გაუცხრათხილისგულოს საწუხარი... ვერ იპოვის ისეთ სიდიადეს, რომლის ზნეობაში საკუთარ ტანჯვას სათანაგრძნობოდ დაასაწყობებდა.** პირიქით, ყველგან მიზნობრივ-წინმსწრებითი სისასტიკით უშუაკაურებენ ვითომ მოკეთეები...

მას ახლა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან უყვარს ცხოველები, წარმოდგენაც არა აქვს, რომ ბატონი სერგი სულ არ ითაკილებს 75 წლისა, სატახტოს დედოგამზირზე ერთგულება ისწავლოს წამგაუცდენლად მედღეურე ყურფირნიშნიანი ძაღლებისაგან. პირიქით, მათ შურობუმუსთან მისი მი-

ჯაჭვულობის სახეზოგადებად გამოაცხადებს კი არა, მეტიც, დიდ პატივად ჩათვლის, მათგან რომელიმე თუ გაუსახლიკაცდება!..

გვიან გაიგებს, რომ უფალთან, სამშობლოსთან და საკუთარ თავთან პატიოსანი ურთიერთობა უიშვიათესი გამონაკლისია!..

აბა, საიდან ეცოდინებოდა მას, რა სულჭუჭყიანი და ავმოსურნე სიმრავლე ისანგრება სიბრძნის გარშემო ზურგში ჩასაცემი ბებუთით, რა სამოგვერდო ძალისხმევა გეჭერქვეშება ვითომ მეგობრად, **თორემ, არ მოინდომებდა ასე წყურვილით გამოეცალა ნაცად ცოდნათა ჩაყვა.**

ნუ დაესევით მას, ამ სურათზე ერთი ობოლი, მხრებსუსტი, უმწეო ბიჭუნა გაჰყურებს სივრცეს, იმ თვალსაწიერს, სამშობლოდ, შურობუმედ რომ გაისიგრძეგანა თავისი დედანი ვინაობის მოთხოვნით.

კი ბატონო, ეს ღვთისკენ სავალი სვლაგეზი გახლავთ, მაგრამ წამებაც და ტანჯვაც ხომ დაელიანდაგა?!.

... და აი, ამ წამებათა ბოლო ნიშანსვეტი - მე ჩემი ავლადიდების ლაგუჯით დაღლილი, სულშეძრული, 75 წლის ტანჯვა, წინამდებარე ბიჭუნადან ამოვიზარდე, ამიტომ, ჩემი დამარცხების ჭირისუფალიც, მესაფლავეც და გამპატიოსნებელიც ამ სურათიდან ათვლილი ვინაობაა.

ვგრძნობ, - საცაა, წავიქცევი!..

ჩემს მარტოობას ნუ დაეშენებით გულქვაობად!..

ნაკვერჩხალი სადაც ეცემა, იქ იწვის და იფერფლება.

არადა, რა კარგი ამინდია, უკანასკნელი თბილი დღეები, მალე ზამთარი შემოსასტიკდება!..

* * *

მინაწერი: *... მაგრამ იცოდე, გერასიმე, უსამშობლოდ კაცი არა ხარ! (გურამ დოჩანაშვილიდან).*

* * *

2022 წლის 4 სექტემბერი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ზურაბ ცუცქირიძე - ის შეუდრეკლად დგას
დაკბილული ციხის ქონგურზე _____ 3
ზურაბ ცუცქირიძე - რისხვის ზარები ჩვენი სამრეკლოდან_____ 6
ზურაბ ცუცქირიძე - ცრემლში დანახული მამული _____ 10
დენისა სუმბაძე – „კოლხური კოშკის“
მსოფლმხედველობის „ამთერგღრიალებელი განიშანსვეტება“,
ანუ ქვეშევრდომული სულის გაძევება „სრულიად
საქართველოს გონითი სივრციდან“ ——————————— 14
მანანა ტაბიძე - „მარად და ყველგან, საქართველოვ“..._____ 29
მიხეილ ლაბაძე - მებრძოლად დაბადებული _____36
მიხეილ ლაბაძე - სიტყვით მხატვრობის ოსტატი _____ 37
გიორგი ქართველიშვილი - წერილი ისრაელიდან _____ 40
ზურაბ ქობალია - მკითხველისადმი _____ 41
ზურაბ ქობალია - ალალად დაწერილი წიგნი _____ 44
ჯუბა ღებელი - ღაღადი წმინდა საფლავთა სახელით _____46
მურმან ხურცილავა - შეხმიანება მეგობარს _____ 52
ზოგიერთი მხარდამჭერი, გამამხნევებელი და
მეცნიერულად საყურადღებო გამოხმაურება _____ 55
სერგი საჯაია - თვითმოძიებითი წამგაელვებანი ყებურთან
ჩათვლემილი 75 წლის ბერიკაცის ძილბურანიდან... _____ 60

75

სერგი საჯაიას ვინც იცნობს, უსათუოდ დაინახავდა მის მსგავსებას ლეგენდებიდან გადმოსულ მეციხოვნესთან, რომელიც შუბით ხელში ამაყად დგას ციხის ქონგურზე. საკუთარი საგვარეულო ციხის კი არა, სამშობლოს ბასტიონის დედა ციხის დაკბილულ ქონგურზე და ბევჯითად გასცქერის იმ გზაშარასა თუ საცალფეხო ბილიკებს, საიდანაც არაერთხელ შემოჭრილან, თუ შემოპარულან ვერაგი მტრები. იცის ამ მეციხოვნემ, რომ საქართველოს ღირსეული მტრებიც ჰყავდა და უფრო მეტი კი თახსირი, სულმდაბალი, შავგულა და მოლალატე ავსულები, რომლებიც სნორედ უჩინარი ბილიკებით მოძვრებოდნენ, ხან მოყვრის, ხანაც კი გლახაკისა და მათხოვრის სახით მოწყალების სათხოვრად. სწორედ ამ ბილიკებს აკვირდება ამაყი და წინგახედული მეციხოვნე, აკვირდება და ყველაფერს ხედავს.

ასეთია სამშობლოს ერთგული მეციხოვნის სერგი საჯაიას ხვედრი და ბედისწერა.

ეს ნიგნი გასულ წელს უნდა გამოსულიყო მის 75 წლისთავთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, სხვადასხვა დამაბრკოლებელ მიზეზთა გამო, ვერ მოხერხდა.

პროფესორი **ზურაბ ცუცქირიძე**